ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1930 წ. მაისი
პარიზი

№ 6

1930 — MAI
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

26 მაისი

კიდევ ერთი დღესასწაული ძაძით მოცული!

კიდევ ერთი დღე თავისუფლებისა და ერის საკუთარ ფეხზე დადგომის, ხალხის ცრემლებში განბანილი და მის ჭირვარამში გამოწრთობილი!

ვერაგი მტერი დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში შემოსევით ლამობდა ქართველ ერის სულიერათ გატეხას, მისთვის წინააღმდეგობის უნარის წართმევას და საქართველოს სამუდამოთ რუსეთის პროვინციათ გადაქცევას.

მერე შედეგი!

დღეს ვინ არ იცის, რომ ქართველი ერი ბრძოლის ველზე გაბედულათ დგას, რათა ხელახლა დაიბრუნოს 26 მაისი,—დღე, როცა ასი წლის მონობის შემდეგ კვლავ აფრიალდა დროშა მისი სუვერენობის, ჩაიკირა ფუძე საკუთარი შენობის და იგი საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი შეიქნა.

ჯერ არავის ახსოვს საქართველო ესოდენ გაერთიანებული!

განა მტერი თვითვე ვერ ხედავს, რომ მტარვალობის ყოველი აქტი, ქართველ ერის დასათრგუნავათ მოვლენილი, თვით შემოსეულთა პირბადის ახდას ემსახურება, ხოლო ქართველ ერის გადაწყვეტილება—ხელახლა მოიპოვოს წართმეული თავისუფლება—უფრო და უფრო ურყევი ხდება.

ასე ერთი მეორის წინააღმდეგ დარაზმულია ორი ქვეყანა და მათ შორის აშკარა თუ ფარული ბრძოლა გაჩაღებულია.

განა საეჭვოა, რომ საბოლოო გამარჯვება ქართველი ერის მხარეზე იქნება?

რუსეთის მთავრობა ამხანად სრულიად გარიყულია. რუსეთის ეკონომიური დაცემა საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია, ხოლო კომუნისტური დიპლომატიის მახინაციებს ყველგან საკმაოთ იცნობენ და ამიტომაც მის წინააღმდეგ განსაკუთრებულ ზომებს იღებენ.

ამავე დროს საქართველოს გვერდით მოსკოვის უღელს სხვა ჩამორჩენილი ერებიც ებრძვიან და ამ მებრძოლთა ბანაკი თანდათან იზრდება და ცნობიერდება.

მაგრამ უმთავრესია ის შინაური პროცესი. რაც თვით საბჭოთა კავშირში წარმოებს. რუსულ კომუნიზმის ციხე შიგნიდან ტყდება, მის დაცემას დღეს თვით ბოლშევიკთა საქმიანობა აჩქარებს, რის მოახლოებას ამხანათ თვით ბოლშევიზანებიც ვერ უარყოფენ.

სოფლად კოლექტივიზაციის გატარების გამო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში ნამდვილი ომია გაჩაღებული. სომხეთ-აზერბეიჯანსა და საქართველოში, მთიელთა რესპუბლიკასა და თურქესტანში, უკრაინასა და ციმბირში, აქა-იქ თვით შიდა რუსეთშიაც კი უკმაყოფილო გლეხკაცობა აუჯანყდა კომუნისტურ ხელისუფლებას. მოძრაობამ ზოგიერთ რაიონებში ფართო ხასიათი მიიღო და მისი ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა. მსხვერპლი ორივე მხარეზე დიდია.

მაგრამ ამ საქმეში ბოლშევიკთათვის საყურადღებოა არა ის ფაქტი, რომ ხალხის სისხლი იღვრება ან მათი მიმდევარნი იჟლიტებიან. განა საბჭოთა მთავრობა ხალხის გაჟლეტას დაერიდება ანდა თუნდაც თავისიანების სისხლს საკმაოთ აფასებს! ოღონდ კრემლის დიქტატორები თავს უზრუნველყოფილათ გრძნობდენ და დანარჩენი ყველაფერი მეორე და მეათე ხარისხოვანი საქმეა.

კომუნისტურ ხელისუფლების საუბედუროთ, კოლექტივიზაციის გატარების ხანაში ერთი ახალი გარემოება გამოაშკარავდა: წითელარმიელთა შორის მწვავე უკმაყოფილებამ იჩინა თავი. აქა-იქ აშკარათ ჯარი აჯანყებულ გლეხკაცობას მიემხრო. სწორეთ ამის გამო მოხდა ეროვნულ ნაწილების დაშლა ქართლსა და სომხეთ-აზერბეიჯანში და ჯარისკაცთა სხვა რაიონებში გადაგზავნა.

ცნობილია, ჯარი ხალხის პირმშო შვილია. ვერავითარი პოლიტგრამოტა და წაჯექ-უკუჯექობა ამ გარემოებას ვერ წაშლის. და აი როცა გლეხკაცობას საბედისწერო მომენტი დაუდგა, კოლექტივიზაციის დროშით მის სარჩო-საბადებლის განიავებას შეუდგენ მუქთახორა კომუნისტების გასასუქებლათ, ჯარი როგორც მოსალოდნელი იყო ხალხის მხარეზე აღმოჩნდა. სტალინის ტაქტიკური უკანდახევა კოლექტივიზაციის სფეროში წითელარმიელთა უკმაყოფილებას მიეწერება.

კომუნისტური ოლიგარხია კარგათ ხედავდა, რომ გლეხკაცობა და მუშათა კლასი მთავრობის პოლიტიკას უარყოფდენ და მას შეძლების და გვარათ ებრძოდენ. მაგრამ სანამ ჯარი ხელისუფლების მხარეზე იყო, უკანასკნელი თავს არხეინათ გრძნობდა. აკი საჭირო მომენტში მას ადვილათ შეეძლო ხალხის ამოძრავება სისხლში ჩაექრო. დღეს მას ხელიდან ეს უკანასკნელი იარაღიც ეცლება, და აი კომუნისტური ბანაკიც აფორიაქდა და გამოსავალის მოძებნას შეუდგა.

დესპოტია ხსნას მუდამ საგარეო ავანტიურაში დაეძებს. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი იოლი გამარჯვება უკვე იგემა: ერთი შეტევით ჩრდილოეთ მანჯურიაში მან დააჩოქა ჩინეთის მთავრობა. რა გასაკვირალია ასეთ პირობებში, როცა შიგნით ვერავითარ გამოსავალს ველარ პოულობს, ის თვალს ისევ ომის ველს აპყრობს. გაზეთები კვლავ ამეტყველდენ საბჭოთა მთავრობის მოქმედების გაცხოველებაზე მანჯურიაში და იქ ახალ შეტევის მოლოდინში არიან.

ამავე დროს თვით კომუნისტურ პარტიაში ისევ განახლდა კამათი ომის გამოწვევაზე. მიუდგომელი მეთვალყურენი არ მალვენ, რომ კრემლში «ახალ ომის შეთხზვას» ლამობენ, რათა წითელი ლაშქარი ისევ დაიმორჩილონ და შინაური კრიზისი მიაფუჩეჩონ.

ეს ადვილი გასაგებია. საბჭოთა ეკონომიკა ისეთ ჩიხში მოექცა, კოლექტივიზაციის ცდამ მას ისეთი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა, რომ ასეთ მდგომარეობაში საგარეო ავანტიურა შედარებით იოლი გამოსავალი იქნება.

ამას ხელს უწყობს თვით კომუნისტურ პარტიის შინაგანი ურთიერთობა. გართულებულ ეკონომიურ ურთიერთობაში ამჟამათ არავინ უწყის, რანაირია პარტიის გენერალური ხაზი. ის რაც გუშინ სახარებათ იყო ცნობილი, დღეს მწვალებლობათ ცხადდება. რასაც გუშინ გმობდენ, დღეს უნდა აქებ-ადიდონ. ბოლშევიკური პარტია აბობოქრებულ ზღვაში შეცურდა და მას უგზო-უკვლოთ აქეთ-იქით ახეთქებს. ამას ყველაზე უფრო მწვავეთ გრძნობს კომუნისტურ პარტიის დაბალი ფენა, განსაკუთრებით სოფლის კომუნისტები. საბჭოთა ხელისუფლების ყველა ბოროტებისთვის პასუხს ხალხის წინაშე უპირველესათ ისინი აგებენ. და ეს იმიტომ, რომ უმთავრესათ ისინი არიან მოწოდებული მეზობელნი ააწიოკონ, ისინი საიქიოს გაისტუმრონ ან ციმბირში გადაასახლონ. სამაგიეროთ თვით კომუნისტები ხალხის რისხვას თავის ზურგზევე იმკიან. ასეთ პირობებში სოფლის ბოლშევიკები უფრო ადვილათ გრძნობენ ხომალდის დაღუპვის მოახლოებას და ეს პანიკა ზედა ფენებშიც გადააქვთ. და აი ბოლშევიკურ პარტიაში არსებული ნერვიული ატმოსფერა თანდათან მძიმდება და მით საგარეო ავანტიურის საფრთხეც იზრდება.

სწორეთ ამ გარემოების გამომხატველია ის აურზაური, რომელიც მოსკოვმა ვარშავის საელჩოში ნაპოვნ ყუმბარის გამო ასტეხა. მართალია, ჯერ არავინ იცის, თუ ვისი ხელი მოქმედებს ამ «საეჭვო ყუმბრის» გარშემო, როგორც ეს პოლონეთის პრესამ მონათლა. მაგრამ რუსეთის მთავრობა არ უცდის გამოძიებას და ომის მოახლოებაზე გაჰკივის, თითქოს მას ემუქრებოდენ. არის ეს უძლურება თუ პროვოკაცია, არსებითად ერთი და იგივეა. დესპოტიის ხელში უბრალო მუქარაც კი შეიძლება ცეცხლათ გაღვივდეს და კატასტროფათ გადაიქცეს.

მთელი ეს ორონტრიალი ჩვენთვის პირველ რიგში იმ მხრით არის საინტერესო, რომ ბოლშევიზმის დაცემის მოახლოებას გვიჩვენებს.

1921 წ. მოსკოვი შეეცადა საქართველოს დასამარებას. მართლაც ქართველ ერს მიაყენეს აურაცხელი წამება, წაართვეს მთელი ავლადიდება, დასცეს მისი კულტურა, მაგრამ მისი განაწამები სული მაინც ვერ გასტეხეს და ის ვერ დაიმორჩილეს. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს უნახავს მურვან-ყრუთა და თემურ ლენგთა შემოსევა, მაგრამ მას დამპყრობთა აწიოკება გადაუტანია და კვლავ ფეხზე დამდგარა. ხოლო დღეს საქართველო გამტკიცებულია კიდევ მით, რომ ის საკაცობრიო მოძრაობის ფერხულშია ჩაბმული და ხელში უპყრია საამდროვო დროშა ერთა თვითგამორკვევის უფლების.

ქართველი ერი, საოკუპაციო ხელისუფლების ფუსფუსში ნათლათ ხედავს იმ დღის მოახლოებას, როცა ბოლშევიზმისა და საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე დამოუკიდებელ საქართველოს სახე გამობრწყინდება.

ახლოვდება ის ბედნიერი დღე, როცა 26 მაისის დროშა ისევ მაღლა აფრიალდება, ხოლო საქართველოს მტერთა ციხესიმაგრე შეიმუსრება.

ჩვენ ფხიზლათ, მაგრამ აუჩქარებლათ ველით ამ დიად დღეს.

◆

ჩვენი ძალათ თანამშრომელი

ბ. ავალიშვილი არ დაკმაყოფილდა მისი «ახალი პასუხიდან» მთავარი ადგილების დაბეჭდვით («ბრძ. ხმა» № 4) და კანონის ძალით მოითხოვს წერილის სავსებით დაბეჭდვას. ამნაირათ, ბ. ავალიშვილი ძალათ გვიხდება ჩვენი ორგანოს თანამშრომელი.

კანონი თუ მას ანიჭებს ამ თანამშრომლობის უფლებას, ჩვენც გვანიჭებს საშვალებას მისი მორალური ფიზიონომიის გამოსარკვევათ. ჩვენს პასუხში ოფიციალური დოკუმენტით დავამტკიცეთ, რომ ის თავის წიგნის დაწერის და გამოცემის დროს ითვლებოდა საქართველოს საელჩოს წევრად. ის კი გვიგზავნის დასაბეჭდათ იმავე ძველ წერილს, შეუსწორებლათ ვითომ ჩვენ მასზე პასუხი არ გაგვეცეს! პროფესორი მახეში გაება და თავი მოიმძინარა—სიზმარი იქნებაო.

რაც შეეხება დანარჩენს: ბ-ნი ავალიშვილი ტყუილად იღებს უმანკო განცვიფრების სახეს. თქვენი არ ვიცით, ბ-ნო პროფესორო, და ჩვენ კი მიგვაჩნია რომ ყოველივე ქართველი, მით უმეტეს საპასუხისმგებლო პოსტზე მყოფი ქართველი, ეროვნულ საქმის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში პასუხს აგებს ქართულ სახელმწიფოს და ქართულ სასამართლოს წინაშე. ჩვენს უნებლიე კორესპონდენტს ეს სასაცილოდ არ ყოფნის: არც ერთი და არც მეორე ახლა ფაქტიურად არ არსებობს და სწორედ ამ გარემოებამ მისცა მას საშვალება აბუჩათ აეგდო თავის წიგნში დამოუკიდებელ საქართველოს პალიტიკა და მით საქართველოს მტრისათვის ხელში იარაღი მიეცა ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალების წინააღმდეგ. მისი წიგნის ღირსეული დაფასება ის გახლავთ, რომ ქართულად ის ჩვენი ქვეყნის ოკუპანტმა გადათარგმნა, ბ. ავალიშვილისათვის სასახელო წინასიტყვაობაც უძღვნა და მებრძოლი საქართველოს გაბახების მიზნით გამოსცა. ამ სამარცხვინო ფაქტს ვერ წაშლის ვერავითარი იურიდიული კაზუისტიკა ბ. პროფესორისა. და თუ ის დღეს დაცულია ფორმალურ პასუხისმგებლობისაგან, მორალური პასუხისმგებლობა—ქართველი ხალხის აღშფოთება—მას საკმაოდ მიეზღო.

◆

ზ. ავალიშვილის ახალი პასუხი

ბ-ნო დირექტორო! თქვენი გაზეთის № 3-ში მოთავსებულია წერილი სათაურით: პასუხის პასუხი, რომელშიაც თქვენ ეხებით ისევ ჩემს 1924 წ. დაბეჭდილ რუსულ წიგნს, და ამასთანავე იმასაც ირკვევთ, მრწამს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, იხსენიებთ ჩემს «რეაქციონური აზროვნების ლოღიკას», ხალხის სუვერენობას და სხ.

ამ თქვენ ლიტერატურას ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ თქვენ იქვე შემდეგიც გამოსთქვით: «... ბ. ავალიშვილმა თავისი რუსული წიგნი გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის საქართველოს საელჩოს წევრად ითვლებოდა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს», და ამას უპასუხოდ ვერ დავტოვებ.

ჩემი წიგნი: «საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში» გამოქვეყნდა 1924 წ. ოქტომბერში. ეს აჯანყების შემდგომა იყო, და წიგნს დავაწერე: «საქართველოსთვის აღსრულებულთა ხსოვნას». საელჩოში მუშაობას კი უკვე 1922 წ. ივნისში თავი დავანებე (სათანადო თხოვნა შევიტანე 30 მაისს). მაშასადამე, როცა ამტკიცებთ, რომ წიგნის დაბეჭდვის დროს მე საელჩოს წევრად «ვითვლებოდი», აშკარა სიცრუეს ბრძანებთ.

რაც შეეხება თვით ამ «სისხლის სამართლის დანაშაულს» თქვენი აზრი არაა ნათელი. რომელი სახელმწიფოს «სისხლის სამართალს» იგულისხმებთ, და რომელი მთავრობის და სასამართლოს იურისდიკციას? ალბათ არც კი გესმით თქვენი სიტყვების მნიშვნელობა, და უკეთესია ეს საკითხი არ გავაღრმავოთ.

როგორც ვატყობ, ჯერ ცოცხალია ის გულისწყრომა, რომელიც გამოიწვია ჩემმა წიგნმა ზოგიერთ წრეებში. მაგრამ, ხუთი წლის შემდეგ, ამ წიგნის გამო «სისხლის სამართლის» პრეტენზიების წამოყენება და საცენზურო და საპროკურორო ტენდენციების გამჟღავნება ჯერ ერთი რომ სასაცილოა და მერე სწორეთ «საქართველოს ეროვნული მთავრობის» საქმეს ავნებს.

ბოლოს, თუ იმის თქმა გინდოდათ, რომ «საქართველოს დამოუკიდებლობის» გამოქვეყნება ჩემს პირად პასუხისმგებლობას იწვევს, მე რასაკვირველია, ამას სავსებით ვკისრულობ; ხოლო თქვენი გაზეთის ფურცლებზე პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი, ეს იქნებოდა თოკის ხსენება ჩამოხრჩობილის სახლში, და ეს არაა მიღებული.

მიიღეთ და სხ.

ზ. ავალიშვილი.

◆

წერილი ჩეხოსლოვაკიიდგან

პრეზიდენტ მასარიკის დაბადების 80 წლისთავი.

მიმდინარე წლის 7 მარტს შეუსრულდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს მასარიკს 80 წელი. ამ იუბილეიმ უდიდესი ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო. უმაღლესმა საკანონმდებლო დაწესებულებებმა მიიღეს სპეციალური კანონი, რომ «პრეზიდენტმა მასარიკმა განსაკუთრებით დაიმსახურა სამშობლოს წინაშე».—ეს სიტყვები ოქროს ასოებით ამოისხმება პარლამენტის კედლებზე. გადადობილ იქნა კანონმდებლობის გზით 20 მილ. კრონა მასარიკის სრულ განკარგულებაში სხვადასხვა ჰუმანიტარული მიზნებისათვის. შეგროვდა და გროვდება აუარებელი კერძო თანხა ამ ფონდის გასადიდებლათ.

მასარიკი არის პირველი პრეზიდენტი მსოფლიო ომიდგან განთავისუფლებული დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის. ის უკვე მესამეჯერ არის არჩეული პრეზიდენტათ და კონსტიტუციის ძალით მასარიკის ამ თანამდებობაზე არჩევა შეიძლება მუდამ, სანამ ის ცოცხლობს. ეს იყო პირველი ჯილდო მადლიერი ერის თავის ბელადისადმი.

ტომაშ მასარიკი არის შვილი მეეტლე სლოვაკიელისა და გაგერმანებული დედისა. სოფლის სკოლის გათავების შემდეგ მას აძლევენ სამჭედლოში შეგირდათ. სხვადასხვა გარემოების და განსაკუთრებით თვით ყმაწვილი მასარიკის დიდი ნებისყოფის და ნიჭის წყალობით ის ათავებს საშუალო სასწავლებელს ვენაში და იქვე უნივერსიტეტს. იქ იწყება მისი პროფესორობა და მოკლე დროში გადადის მის მშობლიურ პრაღაში. პროფესორმა და მეცნიერმა მან მსოფლიოში დიდი სახელი გაითქვა. მაგრამ ჩვენ ვიტყვით რომ მასარიკი ასეთი დიდი პიროვნება გახდა არა მისი მეცნიერულ შრომით და ღირსებებით და საპროფესორო მოღვაწეობით, არამედ მით, რომ საჭირო მომენტში ალღო აუღო ისტორიულ მოვლენებს, გაბედულათ ჩაერია მათ მსვლელობაში და მაქსიმალურათ გამოიყენა მისი ქვეყნის საკეთილდღეოთ. 300 წლის განმავლობაში ავსტრიის ბატონობის ქვეშ მყოფი ჩეხოსლოვაკია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მასარიკმა განახორციელა თავის ქვეყნის ეროვნული პროგრამა და ამავე დროს დემოკრატიის ერთი უდიდესი პრინციპთაგანი—ეროვნული თვითგამორკვევა.

როგორც ყველა დიდი პოლიტიკური მოღვაწეების ჩეხოსლოვაკიის მე 19-20 საუკუნეებში—მასარიკის ეროვნული პროგრამა იყო ჩეხოსლოვაკიის ბედიღბლის მოწყობა დემკრატიულად გარდაქმნილ ავსტრო-უნგრეთის საზღვრებში. ის იყო ამ მხრივ დიდი ისტორიკოსის პალაცკის ერდგული მოწაფე—პალაცკის, რომელმაც დაიმსახურა სახელი—მამა სამშობლოსი. არავის არ სჯეროდა და არ ელოდა რომ ოდესმე მოხდებოდა ისეთი კატასტროფა, რომ ავსტრიის იმპერია დაინგრეოდა და ჩეხოსლოვაკია გახდებოდა დამუკიდებელი სახელმწიფო. (ერთი უნდა შევნიშნოთ,—პალაცკი ამბობდა: «ჩეხოსლოვაკია იყო ავტრიის წინეთ, იქნება შემდეგაცო»). ასეთი იყო ეროვნული პროგრამა ჩეხოსლოვაკიის სოც. დემოკრატიის და მასარიკი, მეტად დაახლოვებული იყო მათთან. ეხლა კი ის აღიარებულია პარტიის ოფიციალურ ლიდერათ.

მსოფლიო ომის წინა წლებში მასარიკი გრძნობს რომ ჰაერში თოფის წამლის სუნი ტრიალებს. ამავე დროს ავსტრიის გაბატონებული წრეების ხეპრე პოლიტიკა მას უკარგავს იმედს რომ იმპერიის დაშლის გარეშე შესაძლებელია ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება ამ სახელმწიფოში.

მას თვალწინ ეშლება საბედისწერო გზაზე შემდგარი ავსტრიის პოლიტიკის შედეგი—კატასტროფა მოახლოვებული ომის დროს და აქედან, როგორც შედეგი, ჩეხოსლოვაკიის გამოთიშვა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ჩამოყალიბება.

დაიწყო მსოფლიო ომი. მასარიკი სასწრაფოდ იმუშავებს ორიენტაციას, ადგენს სამოქმედო პლანს, მართავს მოლაპარაკებას პოლიტიკურ პარტიებთან, ადგენს ინტერპარტიულ საზოგადოებას, სტოვებს მთელ რიგ განკარგულებებს სხვადასხვა შემთხვევისათვის და სტოვებს ავსტრო-უნგრეთის საზღვრებს, ხდება ემიგრანტი. მიატოვებს საყვარელ ოჯახს განსაცდელში და 64 წლის მოხუციააფრიალებს ეროვნულ რევოლიუციის დროშას. ავსტრო-უნგრეთი უნდა დაინგრეს, მასში შემავალი ერები უნდა გახდეს დამოუკიდებელი სახალმწიფო, ის არის ამიერიდგან მოკავშირე ავსტრიის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოთა. —ასეთია დროშა მასარიკისა.

მისარიკი ხდება ბელადი როგორც შინაურ, ისე საზღვარგარეთელ განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი ერი ერთიანდება მის გარშემო. შეწყდა პოლიტიკური ბრძოლა პარტიებთა შორის. ყველა გაიმსჭვალა ერთი აზრით, რათა ხელი შეუწყოს ეროვნულ განთავისუფლების საქმეს და გააკეთოს ის, რაც დაეხმარება მასარიკს და მის ერდგულ თანაშემწეს და მოწაფეს ბენეშს საზღვარგარეთელ პოლიტიკურ და დიპლომატიურ მუშაობაში. არავითარ პროვაკაციას არ აყვეთ—ჩვენი მუშაობის არავითარი დეზავუაცია არ მოახდინოთ! რაც უნდა გაგიჭირდეთ, გააკეთეთ ის რაც მოგწერეთ, მოახდინეთ რევოლიუციონური გამოსვლა, როცა ჩვენ დავინახავთ საჭიროთ—ასეთია მასარიკის და ბენეშის დირექტივები პოლიტიკურ პარტიებისადმი პრაღაში, რასაც ისინი ხშირად იმეორებდენ თავიანთ მიმართვებში.

დასაწყისი მასარიკის საზღვარგარეთელი მუშაობის ვარდით არ იყო მოფენილი. საზღვარგარეთ მოკავშირე სახელმწიფოებში ჩეხოსლოვაკიის საკითხი სრულიად არ იყო დაყენებული და არც ფართო მასა და არც ხელმძღვანელი წრეები მას არ იცნობდენ. იყვნენ თითო-ოროლა მწერლები და ისტორიკოსები—მეგობრები ჩეხიის. თვით უდიდესი სახელმწიფო მოღვაწენი—ბრიანი, ასკვიტი, ვილსონი და სხვები იმ დროს არ იყვნენ მომხრე ავსტრიის დანაწილების. მათი განძრახვა იყო დამარცხება ამ ომში ავსტრიის და შემდეგ მისი გამოყენება გერმანიის წინააღმდეგ. სხვადასხვა გავლენიან წრეებშიც ფართოთ იყო ფეხმოკიდებული, ეგრეთ წოდებული, «ავსტროფილობა». ერთნი—სოციალისტთა უმრავლესობა იყვნენ ავსტრიის შენახვის მომხრე როგორც დიდი ეკონომიური ორგანიზმის, მეორენი—კაპიტალისტები—განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების მქონე ებრაელები სხვადასხვა მოტივებით და ასე ბოლომდის.

მასარიკი აამოძრავებს ყველა თავის მეგობრებს უცხოელებს გამოვიდენ საჯაროთ მისი დაწყებული აქციის მხარის დასაჭერად, აარსებს ყველგან ჩეხოსლოვაკიის კომიტეტების ტყვეებისა, ემიგრანტებისაგან და ჩეხიის კოლონიებისგან, სცემს გაზეთს, კითხულობს მოხსენებებს, არწმუნებს მოკავშირე მთავრობებს და სარდლობას, რომ ომი დიდ ხანს გაგრძელდება, ჩეხოსლოვაკია უნდა იცნონ დაუყონებლივ მოკავშირეთ და ის აღიარონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, მისი საზღვარგარეთელი მთავარი კომიტეტი კი დროებით მთავრობათ. ის იძლევა მთელ პროგრამას მოკავშირეებისა-

თვის. ავსტრია-უნგრეთის დანაწილებაში ის ხედავს მსოფლიო დემოკრატიის უდიდეს გამარჯვებას და ევროპის სრულიად ახალ გზაზე შედგომას. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მოკავშირეების პოლიტიკა იხრება ჩეხოსლოვაკიის სასარგებლოთ. იწყებენ მასარიკთან და მის კომიტეტთან მოლაპარაკებას ოფიციალურათ. მაგრამ ვილსონის და სხვების «ავსტროფილობა» ჯერ კიდევ გრძელდება. და აი მასარიკი მათ მოსამხრობათ ცდილობს ჩეხოსლოვაკია რეალურ ძალათ აქციოს მოკავშირეების გვერდით მტერთან ბრძოლაში. გადაწყვეტილია შედგეს საზღვარგარეთ ჩეხოსლოვაკიის ჯარი (ლეგია) სამხედრო ტყვეებისაგან. აუარებელია ტყვეები საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში. აქ კი ის ასი ათას უდრის. მეფის მთავრობამ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის აუკრძალა მასარიკს რუსეთში შესვლა. თებერვლის რევოლიუცია მას საშუალებას აძლევს წავიდეს რუსეთში და იქ შეადგინოს ლეგიონერთა ჯარი საფრანგეთის ფრონტზე გადმოსასხამათ. ამ მომენტში საფრანგეთი, ინგლისი, იტალია უკვე სერიოზულათ ეხმარებიან მასარიკს და სდებენ მასთან მთელ რიგ ხელშეკრულობებს. მაისში 1917 წელს მასარიკი უკვე პეტროგრადშია. კერენსკი მას არ აძლევს ნებას შეადგინოს დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის ჯარი, ვინაიდან ეშინია, რომ ეს ცუდი მაგალითის მიმცემი იქნება რუსეთში შემავალ ერებისათვის და ის გააძლიერებს უკანასკნელთა სეპერაციას. მასარიკი რუსეთს ძალიან კარგათ იცნობს, მას არ აქვს იმედი რომ რუსეთის ინტელიგენცია გამოიჩენს უნარს მოაწყოს სახელმწიფოებრივი აპარატი. ის დარწმუნებულია ბოლშევიზმის გამარჯვებაში და ამიტომ ჩქარობს როგორმე მალე გაიყვანოს თავისი თანამემამულენი მოსალოდნელი ანარქიის ზღვიდან. იწყებს ჯარის შედგენას უკრაინის ტერიტორიაზე. აქ კი ის ამ საქმეში თანაგრძნობას პოულობს. თითქმის ერთი წელიწადი რჩება მასარიკი რუსეთ-უკრაინაში. 1918 წ. თავდება ჯარის შექმნა და დაიძვრის ის ციმბირის გზით საფრანგეთში გადასაყვანათ. თვით მასარიკი მიდის ამერიკაში, ურდგენს ვილსონს დიდ მემორანდუმს და მასთან აუდიენცია უკვე სწყვეტს საბოლოოთ საკითხს.

იწყება მოკავშირეების მიერ ზედიზედ ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ცნობა. პარიჟის კომიტეტი აღიარებულია დროებით მთავრობათ. მასარიკი მის თავმჯდომარეთ და ფინანსთა მინისტრათ, ბენეში საგარეო და საშინაო მინისტრათ, შტეფონიკი სამხედრო მინისტრათ. ეს არის ზაფხულის თვეები 1918 წლის.

28 ოქტომბერს 1918 წ. ხდება ჩეხოსლოვაკიაში საზღვარგარეთელ კომიტეტთან შეთანხმებით საერთო სახალხო გამოსვლა. დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი აცხადებს ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას. 14 ნოემბერს 1918 წელს რევოლიუციონური პარლამენტი ირჩევს მასარიკს პრეზიდენტათ. 21 დეკემბერს ემიგრანტათ წასული მასარიკი შემოდის ტრიუმფით ქალაქ პრაღაში როგორც პირველი პრიზიდენტი განახლებული სახელმწიფოსი.

ორიოდე სიტყვა სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ ჩეხოსლოვაკიის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. თვით ჩეხოსლოვაკიის სოც. დემოკრატია ომის დაწყებისათანვე დადგა მასარიკის თვალსაზრისზე და როგორც შინ ისე გარეთ იყო მისი თავდადებული თანამშრომელი, იცნო რა მასარიკის მეთაურობა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. უდავოა რომ დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის დამკვიდრებაში ამ პარტიამ ითამაშა გადამჭრელი როლი. ავსტრიის სოციალდემოკრატია კი ასეთივე გადაჭრით იყო წინააღმდეგი ავსტრია-უნგრეთის დანაწილების და კერძოთ ჩეხოსლოვაკიის გამოთიშვისა. პარტიის ცნობილი ლიდერი ვ. ადლერი მთელი მისი ავტორიტეტით ებრძოდა ჩეხოსლოვაკიის სეპერატიზმს.

1917 წელს, ზაფხულში ხდება ზოგიერთ ქვეყნების სოციალისტთა კონფერენცია სტოკჰოლმში. ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატებს უნდოდათ როგორმე მოხვედროდენ ამ სხდომაზე ორგვარი მიზნით: შეხვედროდენ ამხანაგებს, გაეცნოთ მათთვის ადგილობრივი მდგომარეობა დაერწმუნებიათ სამართლიან პოლიტიკაში და თვითონაც გაცნობოდათ, სამი წლის ავსტრიაში ჩაკეტვის შემდეგ, საერთაშორისო სიტუაციას. დელეგატებათ იყვნენ ამხ. ლამბერმანი და ან. ნემეცი; მესამე ცნობილი შმერალი, ომის დაწყების ხანაში პარტიის ოფიციალური ლიდერი და ცენტრალური ორგანოს რედაქტორი. უკანასკნელი არ იზიარებდა არც პარტიის არც მასარიკის პოლიტიკას. ის იყო მოტრფიალე დიდი ავსტრია-უნგრეთის (დღეს კმაყოფილდება სტალინის აგენტობით, ამ ბოლო ხანს იქიდგანაც აადგმიეს ფეხი). შმერალის წასვლის განძრახვამ გამოიწვია დიდი შიში და აღშფოთებაც ყველა პარტიებში, ფიქრობდენ რომ ის იქ შეეცდებოდა მასარიკის დეზავუაციას. მწერალთა კავშირმა მოწოდებაც კი გამოუშვა, რომ შმერალი არავითარ წრეს ჩეხოსლოვაკიაში არ წარმოადგენსო. სოციალდემოკრატებს კი გული საგულეში ქონდათ და იცოდენ, რომ იქ შმერალს გამოიყვანდენ წმინდა წყალზე. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა ვ. ადლერის მემორანდუმი. ის გადაჭრით მოითხოვდა ავსტრია-უნგრეთის შენახვას, მხოლოდ მომხრე იყო ფინლიანდიის განთავისუფლების და რუსეთის პოლონეთის. არაფერი იყო თქმული არც ჩეხოსლოვაკიაზე, არც ავსტრიის, არც გერმანიის პოლონეთზე. მოსმენილ იქნენ ჩეხიის დელეგატები შმერალი აცხადებს: 95 პროც. ხალხის «მოღალატეა» ის მიყობა მასარიკს და სცნობს მის წინამძღოლობას, 5 პროც. კი უფრო თავდაჭერილათ იქცევა და ფხიზლათ უყურებს საქმეს, ამ 5 პროც. წარმომადგენელი ვარ მე, რომელიც ფედერაციის მომხრე ვარ ავსტრიასთანო. ლამერმანი და ნემეცი აცნობენ სხდომას მთელი ხალხის ციხეში ყოფნას, რეპრესიებს, მასარიკის განუსაზღვრელ ავტორიტეტს, მუშათა კლასის მდგომარეობას, და სხვ. შმერალი აკეთებს ავსტრიის პოლიტიკას, მის წინააღმდეგაა მთელი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტიცო. კონფერენციას თავმჯდომარე ბრანტინგი აცხადებს, რომ როგორც ვკითხულობ და ვერკვევი, მასარიკი აკეთებს მაქსიმალურ პოლიტიკასო. სამივე დელეგატები უპასუხებენ, რომ ეს შეეფერება ხალხის 95 პრ. მოთხოვნილებას და მისწრაფებებსო. კონფერენციას არ გამოუტანია არავითარი დადგენილება. 12 ნოემბერს გამოცხადდა ავსტრიის რესპუბლიკა, ამ დღეს ვერ მოუსწრო ვ. ადლერმა, ის უეცრათ გარდაიცვალა გულის გასქდომით 11 ნოემბერს. ავსტრიის დაშლამ მასზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

პრეზიდენტი მასარიკი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს როგორც სახლში ისე უცხოეთში. სამაგიეროთ ის სძულთ როგორც ფაშისტებს, ისე კომუნისტებს. ცნობილია მომაკვდინებელი კრიტიკა მასარიკის ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიზმს ის სთვლის წმინდა რუსულ მოვლენათ. ლენინი, ამბობს ის, ტიპიური რუსია, ბოლშევიზმი წარმომადგენელია ეკონომიური და კულტურული პრიმიტივიზმის რუსის გაუნათლებელი გლეხისო.

ქართული ემიგრაცია შესაფერად გამოეხმაურა მასარიკის იუბილეის. ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ პრაღაში მოახდინა საზეიმო სხდომა მის პატივსაცემათ და სპეციალური მისალოცი წერილით მიმართა რესპუბლიკის პირველ მოქალაქეს. იუბილეის დღეებში პრაღაში მყოფმა ნ. რამიშვილმა სენატის თავმჯდომარის ამხ. სოუკუპის საშვალებით გადასცა მას მილოცვა საქართველოს სოციალ დემოკრატიისა, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ დეპეშით მიულოცა იუბილიარს ქართველი ხალხის სახელით. მისი დეპეშა მოთავსდა ს. დ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში დამატებით, რომ ნ. ჟორდანია არის საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პრეზიდენტი, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დამაარსებელი, ლიდერი და სხვ.

აკაკი ჩხენკელისგან პრეზიდენტმა მიიღო აგრეთვე მილოცვა, როგორც საქართ. დემოკ. მთავრობის ელჩისაგან.

ელღ.

◆

დიადი თარიღი

(საბერძნეთის განთავისუფლების ასი წლისთავი)

საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე ყველა ერი დამონებული იყო საკუთარი თუ უცხო დესპოტიის მიერ. ეროვნული მოძრაობა თანამედროვე მნიშვნელობით არ არსებობდა. რევოლიუციამ წამოაყენა არა მარტო ადამიანის უფლება და ხალხის სუვერენიტეტი, არამედ აქედან აუცილებლათ გამომდინარე ნაციათა უფლება, დიადი პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა. ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარების თაოსნობა ხვდა ბერძენ ერს, ოტომანის იმპერიის მიერ თითქმის ოთხ საუკუნის განმავლობაში დამონავებულს.

საბერძნეთის თავდადებულმა, სწორედ რომ გმირულმა ბრძოლამ დასდო ზღვარი ძველსა და ახალს შორის ერთა ცხოვრებაში, მრავალ დაჩაგრულ ხალხს გაუხსნა გზა თავისუფლებისაკენ. ამ თარიღიდან დაწყებული, საცაკი გაჩაღდება ეროვნული მოძრაობა, ბრძოლის და მსხვერპლის წინ არ ჩერდება სანამ არ მოიპოვებს გამარჯვებას.

და აი ამ დიად, ისტორიულ თარიღს დღესასწაულობს დღეს თავისუფალი ბერძენი ერი. ეს არის ამავე დროს ყველა ჩაგრულ ერთა დღესასწაული.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა მოვიგონოთ მოკლეთ როგორ მოიპოვეს ბერძნებმა თავისუფლება. მართალია საბერძნეთის ბრძოლის პირობები განსხვავებულია ჩვენი პირობებისაგან, მაგრამ ეს განსხვავება ცვლის ბრძოლის ფორმას და არა მის შინაარს. მაშ მოვიგონოთ დიდი ისტორიულ საქმის მთავარი მომენტები.

ბერძენთა ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეული სახე 1814 წელს მიიღო. სამი ბერძენი მოღვაწე: სკუფოსი, ცაკალოვი და ქსანტოსი აარსებენ ამ წელს საზღვარგარეთ, ქალაქ ოდესაში «ფილიკი ჰეტერია» («მეგობრულ საზოგადოებას»), იმუშავებენ ბრძოლის გეგმას და მიდიან სამშობლოში საიდუმლო ორგანიზაციის გასამართავად. ხალხში ხმა გავრცელდა თითქოს რუსეთი ყოფილიყოს საბერძნეთის მოძრაობის მფარველი. ამას სარჩულათ ჰქონდა «ჰეტერიის» რუსეთში დაარსება და აგრეთვე ის გარემოება, რომ ერთი განათლებული ბერძენი, გვარად კაპოდისტრია, ალექსანდრე პირველის მრჩევლად იყო და შემდეგ მინისტრიც გახდა. ეს ძლიერი რუსეთის ვითომდა მფარველობა ნდობას მატებდა ბრძოლის ხელმძღვანელებს და ხალხს ამხნევებდა. სულ მოკლე ხანში საბერძნეთის ყველა კუთხეებში მებრძოლი ორგანიზაციები გაიმართა, ხოლო 4-5 წლის განმავლობაში «ფილიკი ჰეტერია» იმდენად ძლიერი იყო რომ 1819 წელს შესძლო მოეხდინა მნიშვნელოვანი გამოსვლა კონსტანტინოპოლში. მართალია ეს გამოსვლა ადვილათ ჩაახრჩო სისხლში სულთანის მთავრობამ. ხელმძღვანელები დაიჭირა და დახოცა, მარა ამ პირველმა დამარცხებამ და მსხვერპლმა არამც თუ ხალხს გული არ გაუტეხა და ორგანიზაციები ვერ დაასუსტა, არამედ პირიქით: ბრძოლას უფრო მძაფრი ხასიათი მისცა და მებრძოლი ორგანიზაციები გააძლიერა. საქმის ხელმძღვანელობა ხელთ აიღო მეტად გულადმა და ჭკვიანმა მოღვაწემ, იფსილანტიმ, რომელიც წინათ ალექსანდრე პირველის სამსახურში იყო.

იფსილანტის განძრახვით აჯანყება უნდა მომხდარიყო ფართო მასშტაბით: უნდა გამოსულიყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთდაიმავე დროს ყველა ჩაგრული ერება: რუმინია, სერბია, ბულგარეთი. ამ მიზნით მებრძოლ ბერძენთა ხელმძღვანელი გაემგზავრა ბელგრადში, სოფიაში, ბუქარესტში, სადაც გამართა მოლაპარაკება მოკავშირე მეზობლებთან.

აჯანყებამ იფეთქა 1821 წელს. მოძრაობა აქა-იქ იმარჯვებს საბერძნეთში, მაგრამ მას არც ერთი მეზობელი არ მიჰყვება. არც უცხო სახელმწიფოები უჭერენ მხარს ამდგარ ბერძნებს. აჯანყება კვლავ დამარცხდა.

იფსილანტი მიემგზავრება ვენაში, საიდანაც ქვეყნიერებას ამცნობს თავისუფლებისათვის ამდგარ ხალხის სულისკვეთებას და მოუწოდებს საბერძნეთის მეგობრებს დახმარებისათვის. ის ცდილობს აგრეთვე ოფიციალურ სფეროების მომხრობას: გადასცემს მთავრობებს მოწოდებებს თავისი ერის სახელით. საინტერესოა როგორ გამოეხმაურენ ქვეყნის მაშინდელი მპყრობელნი ჩაგრულ ერის გულის ტკივილს. ალექსანდრე პირველმა, რომელზედაც ბერძნები დიდ იმედებს ამყარებდენ, არამც თუ არავითარი დახმარება არ გაუწია, დაჰგმო კიდეც აჯანყება, ხოლო იფსილანტის მოწოდება უკუაგდო. საბერძნეთის მიმართვას არც ინგლისმა ათხოვა ყური, ის ერიდებოდა ხალიფის გაჯავრებას.

ხოლო ავსტრიის მთავრობამ იფსილანტი მოწოდების გადაცემისათანავე დაიჭირა და ჩააგდო ციხეში, სადაც მან სული დალია. მეტერნიხის მხრით, რომელიც ასე უფრთხოდა ყოველივე რევოლიუციას, გასაკვირალი არ იყო ბერძნების ეროვნულ რევოლიუციის მტრობა. ეს ხომ «წმინდა კავშირის» რეაქციის ხანა იყო მთელს ევროპაში და დიდი სახელმწიფოების მთავრობები რევოლიუციის შიშის თვალთახედვით უდგებოდენ ყოველივე მოძრაობას.

ასეთ მძიმე პირობებში ვითარდებოდა ბერძნების ბრძოლა თავისუფლებისათვის. მაგრამ ის ვერც სულთანის სისხლიანმა ხელმა და ვერც დიდ სახელმწიფოთა გულგრილობამ თუ ვერაგობამ ვერ შეანელა. ერთ მილიონიანი საბერძნეთი მედგრათ ეკვეთებოდა ბუმბერაზ ოსმალეთს.

1821 წელს კვლავ იფეთქა აჯანყებამ. ის თან და თან ფართოვდებოდა და ნამდვილ რევოლიუციათ იქნა: მრავალი ქალაქი, დაბა და სოფელი გაწმენდილ იქნა სულთანის ჯარებისაგან. 1922 წლის 1 იანვარს აჯანყებულები აცხადებენ «ღვთის და ქვეყნიერების წინაშე საბერძნეთის ერის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას».

მაგრამ მხნე ხალხი ისევ მარტოდ მარტო აღმოჩნდა ოსმალეთის წინაშე. მეტერნიხის და ალექსანდრე 1-ს ტაქტიკა იყო მიეშვათ ოსმალეთი ბერძნების გასაწყვეტათ. ამანაც ნამდვილი სისხლის ზღვა დააყენა პატარა ქვეყანაში: ჯარი არ ზოგავდა არც ქალს, არც ბავშვს, არც მოხუცს. მარტო სმირნის მიდამოებში 10.000 კაცი და ქალი დახოცეს, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში. 1822 წლის თებერვლიდან მაისამდე 230.000 სულზე მეტი დახოცეს ოსმალებმა, ამათგან ათი ათასს თუ ჰქონდა მიღებული რაიმე მონაწილეობა მოძრაობაში.

დიდძალი ოსმალოს ჯარი ესევა პატარა ქვეყანას, იკლებს ქალაქებს და სოფლებს, სძარცვავს და ხოცავს მხეცურად დიდსა და პატარას. ევროპის დიდი სახელმწიფოები აქაც ხმას არ იღებენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლა გრძელდება, რადგან ერს ჰაერივით სწყურია თავისუფლება. 1826 წელს მთელი საბერძნეთი აწიოკებულია, დარჩენილია მხოლოდ ერთი პატარა ქალაქი ზღვის პირად—მისოლონგი, საცა გამაგრებული არიან მებრძოლნი. 70.000 ოსმალოს ჯარი არტყამს ალყას ამ ქალაქს, ხოლო ზღვიდან მას მტრის ფლოტი ადგება. ქალაქი გმირულ წინააღმდეგობას უწევს უამრავ მტერს, მარა შიმშილი მუსრს ავლებს ალყა შემორტყმულთ. 25.000 მცხოვრებიანი ქალაქი განახევრდა, ხოლო 4500 მებრძოლიდან 1600 კაცი დარჩა. 22 აპრილს ამათ გადაწყვიტეს მტრის ბანაკში შეჭრა და ხმლით ხელში გზის გაკაფვა და გმირულადაც შეასრულეს ეს გადაწყვეტილება. დარჩენილებმა მტრის ხელში ჩავარდნას ქალაქის აფეთქება ამჯობინეს. 10.000-ზე მეტი ბერძენი და 2.300 ოსმალოს მხედარი დაიღუპა ამ გზით.

მისოლონგის ტრაღედიამ ქვეყნიერების ყურადღება მიიპყრო; მოწინავე ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი ენერგიულად მოითხოვდა მთავრობისაგან საბერძნეთის სასარგებლოთ ჩარევას. ეხლა ინგლისმა, რუსეთმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს ჩარევა «კომერციის» ინტერესების დასცავათ. წარუდგინეს სამისო ულტიმატუმი ოსმალეთს. უკანასკნელმა თითქოს მიიღო ულტიმატუმი, ნამდვილად კი საომარ მზადებას შეუდგა. სამმა დიდმა სახელმწიფომ შეერთებული ძალებით იერიში მიიტანეს ოსმალეთზე, რომელიც დამარცხდა ნავარენის ცნობილ ბრძოლაში (1827) და იძულებული შეიქნა ხელი აეღო საბერძნეთზე.

1829 წლის მარტის ხელშეკრულებაში აღიარებულია საბერძნეთის დამოუკიდებლობა. თებერვალში ლონდონის კონგრესზე ინგლისმა, რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას, საცა საბოლოოთ ცნობილ იქნა საბერძნეთის დამო-

ერთი დავის გამო

ეს ერთი ხანია პოტრესოვი და დანი ერთმანერთს ედავებიან საქართველოს შესახებ. ამ დავას დასაბამი მისცა დან-წერეთლის ინციდენტმა ერთ საჯარო კრებაზე, სადაც პირველმა მეორეს დასწამა რუსეთის მთლიანობის დარღვევის სურვილი. წერეთელმა თავი იგრძნო შეურაცხყოფილათ და შესჩივლა პოტრესოვს, პოტრესოვი მას წაეხმარა, დანი გაჯიუტდა და ასე გაიმართა ხანგრძლივი კამათი. პატარა ინციდენტი ადგილს უთმობს ნაც. საკითხს მთელ თავისი სიგრძე-სიგანით. ითქვა ბევრი საინტერესო, რაც წინეთ არ თქმულა, გამოაშკარავდა ბევრის ფიზიონომია, რაც წინეთ დაფარულათ გვეჩვენებოდა, გაიხსნა დახურული ფრჩხილები, ერთი სიტყვით დავა იშვიათი მოულოდნელობით ჩატარდა.

რაშია საქმე? რა აწუხებს ასე რუს ამხანაგებს ჩვენ შესახებ?

მათ შორის სადაოა პოლიტიკური და სოციალური საკითხი, საკითხი საბჭოთა წყობილებისა და მისი ლიკვიდაციისა. მათ შორის უდაოა ნაციონალური საკითხი, საკითხი არა-რუს ერთა განთავისუფლებისა და მათი სახელმწიფოებრივათ მოწყობისა.

სადაო სფეროში ორი ძირითადი აზროვნებაა: პოტრესოვ-კერენსკის აზრით ბოლშევიკური რეჟიმი ყველა რეჟიმზე უარესია, ამიტომ მისი დანგრევა და სხვა წყობილებით შეცვლა, როგორიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, სრულიად არ ნიშნავს უკან დაქანებას, უკეთესის უარესზე გადაცვლას.

დანის და მისი ჯგუფის აზრით, საბჭოთა რეჟიმი უარესია დემოკრატიულ რეჟიმთან შედარებით, ხოლო სხვა ყველა რეჟიმი მასზე დაბლა დგას. ამიტომ ამ არსებული წყობილების არა დანგრევა, არა რევოლიუცია, საიდანაც ვინ იცის რა გამოვა, არამედ მისი თანდათანი გადახალისება, რეფორმები დემოკრატიის გასაბატონებლათ.

ამ ორ მოპირდაპირე მიმდინარეობას ჩვენ უპირდაპირებთ მესამეს, საქართველოს სოციალდემოკრატიის შეხედულობას ამავე საგანზე. ჩვენი აზრით ბოლშევიკური რეჟიმი ყველა რეჟიმზე უარესია, ის პირწავარდნილი ტირანიაა; აქ პოტრესოვი მართალია. მაგრამ ამ რეჟიმში ჩაქსოვილია შესაძლებლობა მისი სახალხო რეჟიმათ შეცვლის, პოლიტიკური და ეკონომიური დემოკრატიის დამკვიდრების და ნაციონალური თავისუფლების მოპოვების. ყველა დანარჩენი რეჟიმი ამ კარებს ახშობს, გვაბრუნებს უკან, უკვე გავლილ ეტაპებისაკენ და მით ბრძოლას გვაწყებიებს თავიდანვე, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, სამი რევოლიუცია არ გადაგვეტანოს. არა უკან დახევა, არა რესტავრაცია, არამედ წინსვლა, ახალი სახალხო პოლიტიკური ფორმებისაკენ.

დანის პოზიცია ხალხს უცხადებს სრულ უნდობლობას, თუ ის მან აიშვა ქვეყანას დაანგრევსო. ის დიქტატურას არ იცავს, მაგრამ ვერც «გლეხთა დაწყებულ აჯანყებათ დაიცავს, ვინაიდან ეს კონტრრევოლიუციამდე მიგვიყვანსო» *). მისი აზროვნების სუსტი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ის არავითარ ტაქტიკურ გამოსავალს არ აძლევს უკმაყოფილო ხალხს, არ ცდილობს მოძრაობა თავის დროშის ქვეშ დააყენოს, გარკვეული პოლიტიკური სახე მისცეს და მით მოძრაობის მეთაური გახდეს. ის წინდაწინვე უიმედოთ უყურებს ამ მოძრაობას. გლეხები უეჭველათ კონტრ რევოლიუციის ლაშქარიაო და მასან დაკავშირებით «ხელს არ ისვრის». მართალია ასეთ შეხედულობას გლეხობაზე ახლა არსად სოციალდემოკრატია არ იზიარებს, თვით კონსერვატიულ და წვრილი საკუთრების ქვეყნებშიაც კი. მაგრამ რუსის მენშევიკები შერჩენ ძველ აღთქმას, ერთხელ დაზეპირებულ დავითნს და მას ვერ ეყრებიან. რაკი გლეხობა განდევნილია დემოკრატიის სასწორიდან უაღრესათ გლეხთა ქვეყანაში, რაღა რჩება თუ არა კეთილი სურვილი, ჩინებული ნატვრა ტირანიის თვით ლიკვიდაციისა და თავისუფლების სამეფოში უდავიდარაბოთ შესვლისა.

პოტრესოვის პოზიცია გაცილებით უფრო რეალისტურია, ანტიუტოპიურია, მაგრამ ისიც პოლიტიკური კვიტიზმით საკმაოთ დატვირთულია. რაკი მისთვის სულერთია, ანუ თითქმის სულერთია, რით გათავდება ბოლშევიზმი, ოღონდ ის კი გათავდეს, ბრძოლა გაადვილებულია. იქნება დემოკრატია ხომ კარგი, არა და მაინც მოგებული ვართ.

როგორც ხედავთ, რუს სოციალისტებს შორის ერთობ ბევრი რამ სადაოა, განსხვავება დიდია, რაიცა აძლიერებს მათ უმოქმედობას და ჩიხში მომწყვდევას. ეს, ასე ვთქვათ, შინაური დავაა, საშინაო პოლიტიკაა, სადაც, რასაკვირელია, აზრთა სხვადასხვაობა დასაშვებია.

სამაგიეროთ ყველა ეს შინაობაში მოდავენი საგარეო პოლიტიკაში ერთდებიან, ერთ ნაციონალურ პოზიციაზე დგებიან და ჩვენ, საქართველოს სოციალ დემოკრატიას, ერთი პრინციპიალური და პოლიტიკური ფრონტით გვეპირდაპირებიან. ყველა ისინი, პოტრესოვი, დანი, კერენსკი და სხ. იცავენ რუსეთის მთლიანობას, არა-რუს ერთა მის ფარგალში ჩაჭერას, რუსის ხალხის სუპრემატიას ამა თუ იმ ფორმით. ნაციონალური მომენტი მათ ყველას აერთებს როგორც ურთიერთ შორის, ისე რუსის ლიბერალებთან და საზოგადოთ ყველა რუსთან. ეს წმინდა რუსული პოზიციაა. ასე რომ რუსეთის ფარგალში ერთა განთავისუფლება ამ სოციალისტებისათვის საგინებელ დროშათ არის აღიარებული, რითაც ერთმანერთსაც კი უმასპინძლდებიან. დანის აზრით, წერეთელი რუსეთის დანაწილებას ემსახურება, პოტრესოვის შეხედულობით «დიქტატურის რეფორმისტები შეიძლება გახდენ, თუმცა უნებურათ, ხელის შემწყობათ სეპარატიზმის, რუსეთის დანაწილების» («დნი» № 82), ხოლო კერენსკიმ ხომ თვით სტალინი გამოაცხადა ამ დანაწილების პიონერათ. გამოდის რომ ყველა ეს პატივცემული მოსკოვის პატრიოტები და მთლიანობისთვის მებრძოლნი ძალაუნებურათ არღვევენ რუსეთს. ნათქვამია, ბუნებას კარიდან გააგდებ, ფანჯრიდან შემოვაო. ამ «დანაწილებას» ებრძვის ყველა ეს დიდი ლაშქარი. და მიუხედავათ ამისა ის მაინც მათ წინ დგას და მისი ძალა მათვე ურტყამს. ისინი მას არ სცნობენ, მას ზურგს აქცევენ და იმავე დროს თურმე მისთვის მუშაობენ.

აი ამ დანი-პოტრესოვი-წერეთლის პრინციპიალურ პოზიციას ეპირდაპირება ჩვენი ნაციონალური პრინციპი; ჩვენ ვამბობთ რუსეთის რევოლიუციური ქარტეხილთა შედეგია ნაციათა გაღვიძება, ამოძრავება და თავისი საკუთარი კერისაკენ მიმართვა. ეს არის გარდაუვალი, ისტორიული სტიქია. მსგავსათ ყველა დანარჩენი ქვეყნების ნაციონალური მოვლენისა, რომლის განდევნა ასპარეზიდან აღემატება ადამიანის ძალღონეს. მაშასადამე მისი ცნობა და მისი უმტკივნეულოთ მოგვარება და ნაციათა შორის მყუდრო ურთიერთობის დამყარება თანასწორობის და თავისუფლების საფუძველზე—აი საამდროვო პრობლემა.

ამ პრობლემის გადაფუჩეჩება. მისი მიჩქმალვა და საერთო ფრაზებით დამალვა ნიშნავს ცხოვრებისაგან მოწყვეტას, საბჭოთა სინამდვილისაგან განდგომას და წმინდა ბერივით წმინდათ წაწყმედას.

ამ პრინციპიალური სიდუხჭირეს აქამდე ფარავდენ ემპირიული მეთოდით. რუსი სოციალისტები ამბობდენ, საქართველოს დამოუკიდებლობას ვსცნობთ და ვითხოვთ, ხოლო სხვა ერების შესახებ თავი დაგვანებეთო. ეს უპრინციპო ემპირიზმი ბევრ გულუბრყვილო ქართველ სოციალდემოკრატს სჯეროდა, ბევრი გვედავებოდა, რა ჩვენი საქმეა აზერბეიჯანის და უკრაინის საკითხი, ჩვენ ჩვენი ქვეყნით დავკმაყოფილდეთ და რუსის ამხანაგების დახმარებით მიზანს მივაღწევთო. მთლიანი რუსეთი, გამოყოფილი საქართველო—აი ამ ჯგუფის პოზიცია. ასე ახასიათებს პოტრესოვი წერეთელს. მაგრამ მთელი ეს კონცეპცია და მასზე დაფუძნებული იმედები სავსებით დაამსხვრია დანმა. მისი განმარტებით, ერთი

---

*) იხ. დანის წერილი «Kampf», მარტის ნომერში.

დამოუკიდებლობა. მაგრამ ბერძნებმა არც ერთი ამ თარიღთაგანი არ მიიღეს თავის დამოუკიდებლობის სადღესასწაულოთ: მათ აირჩიეს 1830 წ. 25 მარტი, დღე როცა საბერძნეთის ერმა ზეიმითააფრიალა დამოუკიდებლობის დროშა ბრძოლის ცენტრში, პატრიაში. თავის საზეიმო სიტყვაში ეფისკოფოსი გერმანოსი ბრძნულად ურჩევდა მრავალ ტანჯულ ერს —დაყრდნობოდა მომავალში მხოლოდ საკუთარ ძალებს და არა გარეშე დახმარების იმედს.

დიდი მსხვერპლი გაიღო საბერძნეთმა თავისუფლების მოსაპოებლათ: 1830 წელს მის მცხოვრებთა რიცხვი მხოლოდ 650.000 უდრიდა (დღეს ოთხ მილიონს აღემატება).

აღსანიშნავია, რომ თუ ბრძოლა საბოლოოთ გარეშე პირობებმა და ძალებმა გადასწყვიტეს, ბერძნებმა მხოლოდ იმიტომ მიაღწიეს მიზანს, რომ არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ თავისუფლების მოსაპოებლად და სისხლიდან დაცლილნი არ იხრიდენ ქედს უძლიერეს მტრის წინაშე. ამიტომაც საბერძნეთის დამოკიდებლობის აღდგენას სამართლიანად ეწოდება ისტორიაში არა «ინტერვენცია», ან «იმპერიალისტური ომის» შედეგი, არამედ «ეროვნული რევოლუცია».

ნ. შავიშვილი.

◆

საერთაშორისო ზავისაკენ

გასულ აპრილში, ლონდონში დადებულ იქნა საზღვაო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ის შესდგება ხუთი ნაწილისაგან. ამათგან ოთხს ხელს აწერენ ამერიკა, ინგლისი, იაპონია, საფრანგეთი და იტალია, მეხუთე კი შეიცავს სპეციალურათ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის შორის შეთანხმებას.

ამ სამ უკანასკნელ სახელმწიფოს შორის შეთანხმების ძალით მცირდება მათი საომარი გოლიათ გემების რიცხვი. დღეს ინგლისს 20 ასეთი გემი ყავს, ამერიკას 18 და იაპონიას 10. ლონდონის შეთანხმებით კი ამ ახლო მომავალში ამ გემებიდგან ინგლისმა 5, ამერიკამ 3 და იაპონიამ 1—სულ 9 გემი ისეთ მდგომარეობაში უნდა მოიყვანონ, რომ არც ერთი მათგანი ომის არავითარ მიზნისათვის არ გამოდგებოდეს, ან და მთლათ მოსპონ. ამ 9 გემის ადგილას ახალის აშენება ხელშეკრულებით აკრძალულია.

კიდევ მეტი. 1922 წელს ვაშინგტონში დადებული საზღვაო ხელშეკრულება უფლებას აძლევდა ამერიკას, ინგლის და იაპონიას 26 მოძველებულ და გაცვეთილ დიდი საომარ გემების სამაგიეროთ ახალი ასეთივე გემები აეშენებიათ 1936 წლამდე. ეხლანდელი ხელშეკრულებით კი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ასეთი გემი არ უნდა იქნას აშენებული.

ვაშინგტონში 1922 წელს მოხდა შეთანხმება მხოლოთ დრედნოუტების შესახებ, მაგრამ ასეთივე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული კრეისერების, განმანადგურებლების და წყალქვეშა ნავების საკითხში. და სწორეთ ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ გემთა ამ სამ უკანასკნელ კატეგორიის შენების დარგში იწყება უდიდესი მეტოქეობა საზღვაო სახელმწიფოთა შორის.

ლონდონის საზღვაო კონფერენციის დიდი მიღწევა ის არის, რომ სამ საზღვაო სახელმწიფოს შორის მოხდა შეთანხმება სამხედრო გემების ყველა კატეგორიების შესახებ. ხოლო კრეისერების, განმანადგურებლების და წყალქვეშა ნავების ტონაჟი გაცილებით ნაკლები უნდა იქნეს იმ მინიმუმზედაც კი, რაზედაც ლაპარაკი იყო ამერიკის, ინგლისის და იაპონიის წარმომადგენელთა შორის ჟენევაში 1927 წ. და რაზედაც ისინი მაშინ ვერ შეთანხმდენ. ამნაირათ ლონდონში სამ სახელმწიფოს შორის მაინც მოგვარებულ იქნა ის ურთულესი და უძნელესი საკითხები, რომელზედაც ვერ შეთანხმდენ ვერც ვაშინგტონში 1922 წელს და ვერც ჟენევაში 1927 წელს.

საფრანგეთი და იტალიაც ხელს აწერენ ლონდონის ხელშეკრულების იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია დიდი სამხედრო გემების აშენების აღკვეთაზე 1936 წლამდე, გარკვეულია აგრეთვე წყალქვეშა ნავების ფუნქციები და ნაჩვენებია ომის დროს სავალდებულო წესები. მაგრამ იმ უმთავრეს საკითხებში, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, საფრანგეთი და იტალია ვერ შეთანხმდენ.

საფრანგეთი არ იყო საზღვაო განიარაღების წინააღმდეგი, იმ პირობით რომ მისთვის მიეცათ საკმარისი გარანტიები მოსალოდნელ საშიშროების თავიდან ასაცილებლათ. იტალია კი გადაჭრით თხოულობდა პარიტეტს, თანასწორობის პრინციპს საფრანგეთის და იტალიის ფლოტთა შორის. საფრანგეთი უპასუხებდა, რომ მას გაცილებით მეტი სანაპირო ადგილები, კოლონიები და გზები აქვს დასაცავი, ვიდრე იტალიას, რომელსაც უშიშრათ შეუძლია თავი მოუყაროს მთელ თავის ფლოტს ხმელთა შუა ზღვაზე. ასეთ პირობებში პარიტეტი ნიშნავს არსებითათ იტალიის ფლოტის საფრანგეთისაზე გაბატონებას და ამიტომ ასეთ «პარიტეტს» საფრანგეთი ვერ დაეთანხმებაო, აცხადებდა ეს უკანასკნელი. ამ ნიადაგზე საფრანგეთისა და იტალიის შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა და ისინი ვერ შეუერთდენ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის შორის დადებულ უმთავრეს ხელშეკრულებას.

რომ ხუთთა შეთანხმება მოხერხებულიყო, კონფერენციამ კარგა ხანი მოანდომა საფრანგეთისათვის სათანადო გარანტიების მიცემის საკითხს. წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ ომის საშიშროების შემთხვევაში დაუყონებლივ შეკრებილიყვნენ ხუთივე სახელმწიფოები სათათბიროთ და გამოეძებნათ ზომები საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ამერიკის დელეგაცია და პრეზიდენტი ჰუვერი ასეთი სათათბირო პაკტის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ ამერიკის სენატმა და საზოგადოებრივმა აზრმა ასეთი რამ ევროპის საქმეებში ჩარევათ დასახეს და ამ სათათბირო პაკტსაც მხარი არ დაუჭირეს. ამერიკის დელეგაციაც იძულებული შეიქნა თავის ქვეყნის აზრისათვის ანგარიში გაეწია. მეორე მხრივ ლაპარაკი იყო ხმელთა შუა ზღვის საგარანტიო პაკტზე. ხმელთა შუა ზღვის სამ სახელმწიფოს, საფრანგეთ-იტალია-ინგლისს შორის უნდა დადებულიყო ხელშეკრულება, რომლის ძალით ეს სახელმწიფონი ერთმანეთს დახმარებას გაუწევდენ თავდამსხმელის წინააღმდეგ. მთელი ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, განურჩევლათ პარტიებისა, კატეგორიულათ წინააღუდგა ასეთ შეთანხმებას, რომელსაც აშკარა სამხედრო ხასიათი ექნებოდა.

ხოლო საფრანგეთის პოზიცია, მისი თანხმობა საკუთარი ფლოტის ტონაჟის შემცირებაზე სწორედ საგარანტიო პაკტზე იყო დამოკიდებული.

ამგვარად, ლონდონის კონფერენციამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. საფრანგეთი და იტალია მთავარი ხელშეკრულების გარეშე დარჩენ; მაგრამ საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო ზავისათვის სწორედ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის საზღვაო შეთანხმებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

დიდი ომის შემდეგ ევროპის პრესაში ხშირად არის ლაპარაკი ამერიკის და იაპონიის შორის «იმანენტური» მტრული განწყობილების და ახლო მომავალში ომის აუცილებლობის შესახებ. წყნარ ოკეანეზე ზარბაზნების ჭექა-ქუხილის ატეხა მხოლოთ დროის საკითხათ ითვლებოდა.

არც ამერიკას და ინგლისს შორის იყო საკმარისი ნდობა და კარგი განწყობილება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1927 წ. ჟენევაში სამ სახელმწიფოს (ამერიკას, ინგლისს და იაპონია) შორის ვერ მოხდა შეთანხმება, ხოლო ამ წლის საზღვაო კონფერენცია სრულიათ უშედეგოთ დამთავრდა. ჯერ კიდევ ამ თორმეტი თვის წინეთ ამერიკაში ინგლისისადმი მეტათ მტრული განწყობილება სუფევდა; ამ ორ დიდ ქვეყნების შორის საომარი კონფლიქტი შესაძლებლად მიაჩნდათ. ამერიკაც სამხედრო ფლოტის გაძლიერების გზას ადგა.

საჭირო იყო დიდი გამჭრიახობა, ენერგია და ინიციატივა, ამ სამ უდიდეს საზღვაო სახელმწიფოთა შორის მოსალოდნელ საომარი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ეს შესძლო ინგლისის მუშათა მთავრობამ.

ინგლისის ყველა მთავრობისათვის აქამდე ურყევი და უდაო იყო, რომ დიდ ბრიტანეთს უნდა ყოლოდა ისეთი ფლოტი, რომლის ძალა უდრიდა ორ უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოს ფლოტების ძალს, ერთად აღებულს. ამერიკა კი ამ ბოლო დროს გადაჭრით მოითხოვდა მისი და ინგლისის ფლოტის შორის თანასწორობას. ამაზე ინგლისის არც ერთი კონსერვატიული მთავრობა არ თანხმდებოდა და ყოველივე ლაპარაკი ამ საგანზე უნაყოფოდ რჩებოდა. ან ამერიკას თავისი ფლოტი უნდა გაეძლიერებია და ის ერთი ორათ გაეხადა, რასაც თავისთავათ მოყვებოდა ინგლისის, იაპონიის და სხვა ქვეყნების შეიარაღების გაძლიერება და კატასტროფისაკენ აუცილებლივი სვლა, ან და ინგლისს ხელი უნდა აეღო ზღვის ჰეგემონობაზე და ამერიკასან პარიტეტის პრინციპი მიეღო.

ეს დილემა გადაჭრა ინგლისის მუშათა მთავრობამ. მან მიიღო პარიტეტის პრინციპი და მის ცხოვრებაში გატარებას ენერგიულად შეუდგა კიდეც. ამ მიზნით წინასწარ დიდი პროპაგანდა იქნა გაწეული თვით ინგლისის პრესაში. მეორე მხრივ ამერიკაში გაემგზავრა ინგლისის პირველი მინისტრი ამერიკის პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლათ. მაკდონალდმა ჩინებულათ შეასრულა თავისი მისია. როგორც ამერიკის პრესა გადმოგვცემდა, დღიდგან ამერიკის ინგლისისაგან ჩამოშორებისა არავის ახსოვს, რომ ვინმე სხვა ევროპიელი ისეთი დიდი თანაგრძნობით და გულწრფელობით მიეღო შეერთებულ შტატების ერს, როგორც ეს მაკდონალდს ხვდა წილათ.

ამერიკასა და ინგლისს შორის ყოველივე გაუგებრობის გაფანტვას და კარგ დამოკიდებულების დამყარებას თან მოჰყვა იაპონიის და ამერიკის ერთმანეთთან დაახლოვება და მორიგება.

ლონდონის კონფერენციის მომზადების ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ საფრანგეთსა და იტალიას შორის უთანხმოების ამოწურვას წინასწარ ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული. ვიდრე ეს საჭირო იყო, რის გამოც ეს ორი სახელმწიფო მთავარი შეთანხმების გარეშე დარჩა. მაგრამ არც ლონდონის კონფერენციის დროს და არც მისი დასრულების შემდეგ ადგილი არ ჰქონია მათ შორის დამოკიდებულების გამწვავებას, რაც ასე ხშირად ხდებოდა წინანდელ კონფერენციებზე.

კონფერენცია დასრულდა, მაგრამ იტალიას და საფრანგეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება გრძელდება და სულ ადვილი შესაძლებელია, რომ, სანამ შემდეგი კონფერენცია მოხდებოდეს (1936 წ.), საფრანგეთი და იტალია უკვე მორიგდენ და ამერიკის, ინგლისის და იაპონიის შეთანხმებას თავიანთი ხელმოწერაც შეუერთონ. სხვათა შორის საფრანგეთის და იტალიის ერთმანეთთან შეთანხმება გაცილებით უფრო ადვილათ შეიძლებოდა, რომ საფრანგეთს დღეს არ აფიქრებდეს საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი ავანტიურა ზოგ მის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

ყოველ შემთხვევაში, საზღვაო შეიარაღების გაშმაგებული დოღი ამერიკა-ინგლის-იაპონიას შორის კარგა ხნით შენელებულად უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ საშინაო და საგარეო ფრონტებზე გასამარჯვებლათ საბჭოთა რუსეთი უდიდეს იმედებს ამყარებდა კონფლიქტზე ერთი მხრივ ამერიკასა და იაპონიას შორის, მეორე მხრივ ამერიკასა და ინგლისს შორის. მას აქაც უცრუვდება იმედი და მის ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას ნიადაგი ეშლება...

პ. გ.

◆

რუბიკონს გაღმა

(წერილი გერმანიიდგან)

იუნგის გეგმის მიღებით გერმანიამ რუბიკონი გადალახა: გადასდგა გადამჭრელი ნაბიჯი დასავლეთთან შესარიგებლათ და ამით თავის აწინდელ წინსვლა-განვითარებას მკვიდრი კალაპოტი მიუჩინა. თუ აქამდე საგარეო პოლიტიკა თავისი სიმძიმით და ტკივილებით პყრობდა მთელი გერმანიის ყოფა-ცხოვრებას, დღეს მისი უმძიმესი პრობლემები საკმაოდ გადაჭრილი და მალამო დადებული არის, რომ მან თავისი პირველი ადგილი საშინაო პოლიტიკას დაუთმოს. თუ აქამდე გერმანიის უმთავრესი საზრუნავი ანტანტასთან ბრძოლა იყო, რაც მას რუსეთის მიმართ ერთგვარ სიფრთხილეს და ლოიალობას აიძულებდა, დღეს ის საბოლოოდ დაადგა მოკავშირეებთან—რაც უმთავრესია, თვით საფრანგეთსა და პოლონეთთან—პოლიტიკურ-ეკონომიური თანამშრომლობის გზას და ამით საბჭოებთან არშიყობის უმთავრესი საფუძველი მოხსპობილია.

მშვიდობიანობის პოლიტიკამ, რომელიც ახალმა გერმანიამ სოციალდემოკრატიის მეთაურობით ვერსალის ზავის ხელის მოწერიდან დაიწყო, საბოლოოთ გაიმარჯვა. თუ ვერსალში მოკავშირეთა სარეპარაციო მოთხოვნები თითქმის განუსაზღვრელი იყო, თუ ჯერ კიდევ 1921 წლის ლონდონის ხელშეკრულება გერმანიის ვალდებულებებს დღევანდელ ღირებულებით (გარეშე მომავალ წლების პროცენტებისა) 132 მილიარდ ოქროს მარკაში გამოხატავდა, 1924 წელში მიღებულ დაუსის გეგმით ეს თანხა 49 მილიარდზე და დღევანდელი იუნგის გეგმით კი 36 მილიარდზე იქნა დაყვანილი. მარტო მომავალი ათი წლის განმავლობაში უდრის იუნგის გეგმის შეღავათი აქამდი არსებულ დაუსის გეგმასთან შედარებით 7 მილიარდ მარკას ე. ი. წლიურად 700 მილიონ მარკას (საშვალოდ 2,6 მილიარდის მაგივრად 1,9 მილიარდი). თუ ვერსალის ზავის ჩამოგდების დროს საფრანგეთის მილიტარისტები რენანიის ანექსიაზე ოცნებობდენ, თუ შემდეგ ისინი კიდევ ბევრი იმედებით 15 წლით ოკუპაციაზე დათანხმდენ, დღეს გერმანიის ამ უმშვენიერესი მიდამოების გათავისუფლება ორი მესამედით უკვე მომხდარა და მესამე ნაწილიც ამ წლის 30 ივნისამდე თავისუფალი გახდება. თუ აქამდის გერმანიის ბედი მოწინააღმდეგეთა სარეპარაციო კომისიის ხელში იყო, რომელსაც შეეძლო—თუ გერმანიის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას არა საკმაოდ დაინახავდა—საბედისწერო ხასიათის სანქციებისთვის მიემართა (როგორიც იყო მაგალითად რურის მიდამოების დაკავება 1923 წელში), თუ აქამდე გერმანიის სასიცოცხლო ეკონომიური ძარღვები—რკინისგზები, სახელმწიფო ბანკი, საფინანსო მართველობა—უცხოეთის წარმომადგენელთა შემბოჭველი და დამამცირებელი კანტროლის ქვეშ იმყოფებოდენ, ამიერიდან ყოველივე ეს ქრება, ამიერიდან გერმანიასა და ანტანტას შორის წინააღმდეგობათა მოსაგვარებლათ არსებობენ: ბაზელის საერთაშორისო ბანკი, რომელსაც როგორც სხვა ქვეყნის ისე თვით გერმანიის დამოუკიდებელი სპეციალისტები განაგებენ, აგრეთვე ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, კელოგის პაქტი და ლოკარნოს ხელშეკრულება. ძველმა რეჟიმმა გერმანია ომში და დამარცხების კატასტროფაში შეიყვანა. ახალ რეჟიმს სოც. დემოკრატიის მეთაურობით გამოჰყავს ის ამ კატასტროფალურ მდგომარეობიდან. ამ გზაზედ იუნგის გეგმა უდიდესი ნაბიჯია წინ.

იუნგის გეგმას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მაგრამ ცხადია ამ მოწინააღმდეგეთა საგრძნობი ნაწილი მხოლოდ პირფერობდა და დემაგოგიას ეწეოდა. არას ვიტყვით კომუნისტებზედ და აშკარა ფაშისტების უმნიშვნელო ჯგუფებზედ. ესენი ალბათ უფრო გულწრფელად ემხრობოდენ ომის და კატასტროფის პოლიტიკას. მხოლოდ გერმანელ ნაციონალისტების დიდი პარტია (დღეს დანაწილებული «გერმანიის ნაციონალისტებათ» და «სახალხო კონსერვატორებათ») ცხადია უფრო იმ იმედით აყენებდა ოპოზიციონურ «პატრიოტულ» ფრაზების კორიანტელს, რომ გული საგულეს ჰქონდა: დარწმუნებული იყო რომ დიდი კოალიციის პარტიები იუნგის გეგმას მიიღებდენ. უკვე ექვსი წლის წინ ითამაშა ნაციონალისტურმა პარტიამ იგივე კომედია. «არამც და არამც არ მივსცემთ ხმას დაუსის დამამონავებელ გეგმასო» გაიძახოდენ ისინი უკანასკნელ წუთამდის. მაგრამ კენჭის ყრის დროს კი ფრაქციის ნახევარმა—ორმოცდაცხრა კაცმა, სწორედ იმდენმა, რამდენიც აუცილებელი იყო გეგმის მისაღებათ!..—მისცეს ხმა. ამ «პოლიტიკა»-ს მშვენივრად გამოხატავს ერთი დეპეშა, რომელიც ნაციონალისტთა ერთ წარმომადგენელს გამოეგზავნა ბერლინში თავისი ამხანაგებისთვის: «არ მისცეთ გეგმას ხმა, თუ მისი მიღება უჩვენოდაც უზრუნველყოფილია»-ო. ხოლო რადგან ეს მთლად უზრუნველყოფილი არ აღმოჩნდა, იკადრეს ჩუმად ხმის მიცემა.

ეხლა ვითომ უფრო გულწრფელად მოიქცენ. «დროა დავადგეთ პატიოსანი ვაჭრის პოლიტიკასო», აცხადებენ ნაციონალისტები. იუნგის გეგმის შესრულება ხომ შეუძლებელია? ვსთქვათ ეს და ნუ ვაწერთ ხელსო». მაგრამ იუნგის გეგმის უარყოფით კიდევ იგივე დაუსის გეგმა უნდა დარჩენილიყო ძალაში. თუ ამასაც უარყოფდენ და არ შეასრულებდენ, მაშინ

ქვეყნის გამოყოფაც კი ნიშნავს «რამდენიმეთ რუსეთის დანაწილებას», ვინაიდან «არსებულ ისტორიულ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმავე დროს დამოუკიდებლობის გამოცხადებით აზერბეიჯანის, სომხეთის, უკრაინის და სხვების, ე. ი. ფაქტიურათ რუსეთის დანაწილებით» («სოც. ვესტ.» № 6-7). მან ახლა გაიგო, რაც ჩვენ კარგი ხანია გვესმოდა, რომ საქართველოს პრობლემის გადაჭრა შინაგანი, საბჭოთა კავშირის რევოლიუციური ძალებით შეუძლებელია სეპარატიულათ, სხვა ერების მონობაში ჩატოვებით. ას ორმოც მილიონ ხალხს პატარა საქართველო ვერ დაუპირდაპირდება ბრძოლის ველზე.

პოტრესოვი არ იღებს დანის ახლანდელ პოზიციას და მას უპირდაპირებს ძველ უტოპიას—მთლიანი რუსეთი, დამოუკიდებელი საქართველო. ის დოკუმენტებით ამტკიცებს დანის პოზიციის შეცვლას, საქართველოსათვის ზურგის შექცევას, თქმულის გადათქმას—ერთი სიტყვით საქართველოს საკითხში უკან დახევას. ამის საპასუხოთ დანი კიდევ უფრო იხევს და ამბობს, რომ არასოდეს არც მისი პარტია, არც ინღერნაციონალი საქართველოს დამოუკიდებლობას არ ითხოვდენო. «დამოუკიდებლობის საკითხში ჩვენი პლატფორმა გადაჭრით არსად და არაფრით არ გამოყოფს საქართველოს სხვა ერების რიცხვიდან», სწერს ის (იქ. № 8).

ამნაირათ რუსის მენშევიკებისათვის საქართველო დღეს ჩამოქვეითდა იდელ ურალამდე ან ჩუვაშ-ვოციაკებამდე. ისინი ყველა ამ ერებისათვის ითხოვენ თვითგამორკვევას, მაგრამ ეს თვითგამორკვევა უნდა გამოიხატოს რუსეთის მთლიანობის განმტკიცებით ფედერატიულ საფუძველზე.

ასე და ამნაირათ, დანის გულახდილი საუბარი ერთხელ და სამუდამოთ გვაგებინებს საქართველოს საკითხის ამოშლას მისი ჯგუფის დღისწესრიგიდან და კერენსკის ბანაკში მათ გადაბარგვას. პოტრესოვდანის დავაში კერენსკი ემხრობა დანს და იმეორებს მის სიტყვებს: «თანამედროვე ისტორიულ პირობებში, რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებამდე, ყოველნაირი ბრძოლა რუსეთისაგან გამოყოფისათვის არის ცდა რუსეთის დანაწილებისა» («დნი» № 85). ასეთივე აზრი გამოსთქვა მილიუკოვმა თავის გაზეთის ათი წლის ბანკეტზე ხატისოვისადმი მიმართულ სიტყვაში. რუსი მენშევიკები დანის კლანისა აშკარათ, გაშლილი ბაირაღით შეუერთდა იმპერიალისტთა ბანაკს და მათი ნაციონალური ლოზუნგი თავისათ გაიხადა. მაგრამ როცა ამ დახევაში სურთ ინტერნაციონალი ჩაითრიონ, როცა რუსულ იმპერიალიზმს ინტერნაციონალის ბაირაღათ სახავენ—უნდა შევსძახოთ—ნურას უკაცრავათ, ილაპარაკეთ თავის თავზე! ყველა რეზოლიუცია ინტერნაციონალის და მისი სექციების მიერ გამოტანილი საქართველოს შესახებ გულისხმობდა მისი დამოუკიდებლობის აღდგენას და თავში არ მოსვლია ვინმეს საქართველოს რუსეთთან ფედერატიულათ დაკავშირება. ასეთი მოთხოვნილება იქნებოდა დიდი სიბრიყვეც, ვინაიდან საქართველო ისედაც საბჭოთა კავშირის ფედერატიულ ნაწილათ ითვლება. ამ შემთხვევაში ლაპარაკი იქნებოდა არა ქართველი ერის სუვერენულ უფლებაზე, არამედ საბჭოთა კავშირის მხოლოდ დემოკრატიზაციაზე, რომლითაც საბჭოთა ტირანიული ფედერაცია გადაიქცეოდა დემოკრატიულ ფედერაციათ. და თუ ამ დემოკრატიულ მოთხოვნილებათა გვერდით აყენებენ ნაციონალურ მოთხოვნილებათ, ნაციის სუვერენებას—ცხადია ამ მოთხოვნილების დემოკრატიით და ფედერაციით დაფარვა იმპერიალისტური ფანდია. ეს ფანდი ინტერნაციონალს არ ეკუთვნის.

როგორც ხედავთ, რუსის მენშევიკების ლიდერმა გვარიანი ფართო «განმარტება» გააკეთა. ჩვენ მას არ ვედავებით, როგორც არ ვედავებით მილიუკოვს და კერენსკის ნაციონალურ საკითხში. ეს მათი ნაციონალური პოზიცია, ჩვენ ჩვენი უნდა გვქონდეს, ხოლო გადამჭრელი ფაქტორია ისტორია, რეალური ურთიერთობა მსვლელობა. მაგრამ როცა აშკარა იმპერიალიზმს სოციალიზმის სამოსელში ხვევენ, მსგავსათ ბოლშევიკური ტირანიის სოციალიზმათ გასაღებისა, ე. ი. როცა ახდენენ სოციალიზმის ფალსიფიკაციას «დიდი რუსეთის» სადღეგრძელოთ, არ შეგვიძლია არ დავიცვათ პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი დროშა და ფალსიფიკატორები სააშკარაოზე არ გამოვიყვანოთ. დანის უკანდახევის მოტივები—მუშათა კლასის და რევოლიუციის ინტერესები—მეტათ სხვილი ძაფებით არის მოქსოვილი. «დიქტატურის კრიზისის დროს არც ერთმა ერმა, მათ შორის საქართველომაც, არ უნდა გამოარკვიოს თავისი თავი დამოუკიდებლობის სახით, ვინაიდან ასეთი თვითგამორკვევა წყალს მისცემს კონტრრევოლიუციის წინსვლას» გვასწავლის ავტორი, რჩევა მეტათ ხელსაყრელი იმპერიალისტებისათვის. თუ კრიზისი დროს ვერ განვთავისუფლდით, მაშ როდის, როცა კრიზისი გაივლის და მძლავრი ცენტრალისტური ხელისუფლება დაწესდება? ყველა ერი თავისუფლდება სწორეთ კრიზისების დროს; კრიზის გავლისათვის არ მოუცდია არც პოლონეთს, არც ჩეხოსლოვაკიას, არც ბალტიის რესპუბლიკებს, არც ჩვენ, არავის. თვით თებერვლის რევოლიუციის ხანაში ფილიანდიამ სოციალისტების მეთაურობით თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. და რომ ერის განთავისუფლება კონტრრევოლიუციას ბადებდეს, დიდი ხანია ყველა იმ სახელმწიფოებში, საიდანაც ერები გამოიყვენ, კონტრ-რევოლიუცია იქნებოდა, როგორც მაგალ. გერმანიაში, ავსტრიაში, ოსმალეთში, რუსეთში. კონტრრევოლიუციის მიზეზია ერის შინაგანი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. თუ რუსის ერში კონტრ-რევოლიუციური ვითარებაა, რეაქციის გამარჯვება აუცილებელია. დანი სწორეთ ამას ამტკიცებს ყველა თავის ნაწერში, ბონაპარტიზმის და ფაშიზმის გამარჯვებას მუდამ წინასარმეტყველობს. ამ შემთხვევაში ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი და სოციალისტი იტყოდა—სხვა ერებმა მაინც თავს უშველონ და დემოკრატიას ეზიარონო. დანი კი გვირჩევს—ჩარჩით ამ კონტრ-რევოლიუციაში, დაემორჩილეთ მოსკოვის ბონაპარტიზმსო! ე. ი. ის რუსულ ნაციონალურ მომენტს სოციალურ-პოლიტიკურ მომენტზე მაღლა აყენებს, მას უმორჩილებს. ჩვენ კი ვამბობთ, და ჩვენთან ერთათ კაუცკი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ნიშნავს უეჭველათ დემოკრატიის გამარჯვებას, კონტრრევოლიუციის თავიდან აცილებას, ე. ი. ჩვენი ნაციონალური მომენტი ემორჩილება სოციალურ-პოლიტიკურ მომენტს, ის ხდება სახალხო წყობილების გზათ და ხიდათ, მის ჩარჩოთ. დანის პოზიცია ნაციონალისტურია. ხოლო გაბატონებული ერის ნაციონალიზმი იმპერიალიზმია. ჩვენი პოზიცია სოციალისტური და დემოკრატიულია; დამორჩილებული ერის განთავისუფლება პროგრესიულია.

ამნაირათ, დანი და მისი მიმდევრები მართალია რესტავრაციას ებრძვიან საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ საგარეოში მას სრულიად არ ებრძვიან. პირიქით რუსეთის მთლიანობა მათი ისეთივე დროშაა, როგორიც ყველა დანარჩენი რუსის პარტიების. და რადგანაც საგარეო მომენტი ბატონობს საშინაოზე, ცხადია დანს სადაო დიდი არაფერი აქვს კერენსკისან, პოტრესოვთან, მილიუკოვთან და სხვებთან, გარდა რასაკვირველია, სიტყვიერი ფრაზეოლოგიისა. მოტივები, მოსაზრებანი ყველას თავისი აქვს, რასაც ზოგი პირდაპირ აღიარებს, ზოგი მიკიბულ-მოკიბულათ; მთავარია პრაქტიკულ-ნაციონალური პოლიტიკა, ხოლო აქ კი მათ შორის განსხვავება არ არის. საკვირველია, რომ მათ ინგლისის ბურჟუაზიის ნაც. პოლიტიკამდეც კი ვერ ამაღლდენ და დამორჩილებულ ერებისათვის, ზოგისთვის მაინც, დომინიონების უფლებაც ვერ გაიმეტეს.

არა გვგონია რუსეთის სოციალიზმი კერენსკით და დანით ამოიწურებოდეს. უეჭველია გამოჩნდებიან ახალი ხალხი და იტყვიან ახალ სიტყვას. ეს მოხდება არა აქ, გარიყულ ემიგრაციაში, არამედ იქ, რუსეთის სინამდვილეში. რუსთა და არარუსთა ერების საერთო ენა გამოინახება იქ, მოძრაობის ხანაში.

◆◆◆

უნდა შემდგარიყვენ ომის გზაზედ, რასაც იმავ ნაციონალისტების ვერც ერთი სერიოზული წარმომადგენელი ვერ სთვლის შესაძლებლათ. ასე რომ ნაციონალისტთა ბაქი-ბუქიდან არც გამოსავალი სჩანდა, არც უფრო პატიოსანი გზა. მაგრამ ეხლა მათ მაინც შესძლეს კენჭის ყრის დროსაც შერჩენოდათ თავის პოზიციას და სრულიად უბრალო მიზეზით. დაუსის გეგმა სცვლიდა კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებს და ამიტომ მოითხოვდა პარლამენტის ხმების ორ მესამედს. ამიტომაც ის ნაციონალისტების ნახევრის ხმების უმისოდ ვერ გავიდოდა. იუნგის გეგმა კი კონსტიტუციას არ ეხება, მაშასადამე მის მისაღებათ საკმაო იყო დეპუტატთა ხმის უბრალო უმრავლესობა, რაც დიდი კოალიციის პარტიებსაც ჰქონდათ. ამიტომ შესძლეს ნაციონალისტებმა ეხლა «ბოლომდის პატიოსნად» დარჩენილიყვნენ და ხმა მიეცათ იუნგის გეგმის წინააღმდეგ.

გერმანელ ნაციონალისტთა ამ საგარეო პოლიტიკურ დემაგოგიას საშინაო პოლიტიკური მიზანი აქვს: უკმაყოფილო და ნაკლებათ გარკვეულ მასებზე გავლენის მოხდენა (უკმაყოფილო კი რასაკვირველია ყველა არის, როცა სახელმწიფოს წლიურად ორი მილიარდი მარკა აწევს გადასახდელათ), ხმების მოპოება, შემდეგ მთავრობაში შეჭრა და გადასახადების პოლიტიკაში თავიანთი წრეების (ბიუროკრატიული, იუნკრულ-ფეოდალური და ბურჟუაზიული წრეები) ინტერესების დაცვა. ამ მიზნის შესაფერი მომენტიც მათ ძალიან მალე დაუდგა.

იუნგის გეგმის მიღების მოსალოდნელმა შედეგებმა, რომლებზედაც ამ წერილის შესავალში ვუთითებთ, მისი მიღებისთანავე იჩინეს თავი. დიდი კოალიციის პარტიებს აკავშირებდა საგარეო, საზავო პოლიტიკა. ჩადგა თუ არა საგარეო პოლიტიკა უკანა რიგში, კოალიციის შემაერთებელი კავშირიც დასუსტდა და მასში შემავალ პოლიტიკურ ძალებს. განსაკუთრებით სოციალდემოკრატიას და სახალხო პარტიას, რომელნიც წინედ საგარეო პოლიტიკის ხათრით ერთმანეთს ბევრს უთმობდენ, თანამშრომლობის ხალისიც დაეკარგათ. დაიჭირა თუ არა საშინაო პოლიტიკამ პირველი ადგილი, წინ წამოიჭიმა ის ღრმა წინააღმდეგობაც, რომელიც კოალიციის შიგნით იყო დაგუბებული. საშინაო პოლიტიკის საკითხებიდან დღეს პირველ რიგში დგას სოციალური პოლიტიკა: გადასახადების განაწილება, უმუშევართა დაზღვევა და სხვა. აქ კი გერმანიის სახალხო პარტია (შტრეზემანის პარტია), შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო რეაქციონური პარტია არის გერმანიაში, როგორც მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი. მასა და სოციალდემოკრატიას შორის ამ სფეროში უდიდესი წინააღმდეგობაა. ამ წინააღმდეგობამ დასცა მიულერის კაბინეტი. სოციალდემოკრატია უმუშევართა დაზღვევის საკითხში თავს უკიდურეს დათმობამდის მისულათ სთვლიდა. მეტი დათმობა მას შეუძლებლათ მიაჩნდა. სახალხო პარტიამ სწორედ ეს მოითხოვა. რა რიგ პატარა თანხაზედაც არ იყო კითხვა დამოკიდებული (ამ დროებით სულ 70 მილიონ მარკაზე), არც ერთმა მხარემ არ დასთმო და დიდი კოალიციაც გასქდა. მთავარი ბრალი ეჭვი არ უნდა სახალხო პარტიის მხარეზეა. მხოლოდ, იყო თუ არა სწორი სოციალდემოკრატიის ტაქტიკაც, ამას მომავალი განვითარება დაგვანახვებს.

თუ პოლიტიკურმა სიურპრიზებმა ხელი არ შეუშალეს, გერმანიის ეკონომიურ განვითარებას შეიძლება ოპტიმისტურათ ვუყუროთ. ის უკვე დაუსის გეგმის ქვეშ აკეთებდა საგრძნობ პროგრესს. გერმანიის ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგები—სამთამადნო, რკინეულობის, ქიმიური და ელექტრონის მრეწველობა—საკმაოთ მომაგრდენ. საგარეო ვაჭრობაც თვალსაჩინოთ იზრდება. ექსპორტი უკვე საგრძნობად გადასცილდა ომის წინანდელ დონეს. განსაკუთრებით იზრდება ინდუსტრიალური ექსპორტი, რომელიც 1925 წელს 8 მილიარდს, 1929 წელს კი 12 მილიარდ მარკას უდრიდა, მაშინ როდესაც ინგლისის და საფრანგეთის ექსპორტის განვითარება 1925 წლიდან შეფერხებულია *).

იუნგის გეგმის დანიშნულებაა გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა და განვითარება უფრო მკვიდრი გაჰხადოს. ის გერმანიის კრედიტის აღდგენას და კაპიტალის შემოსვლას ხელს შეუწყობს. ამ მკვიდრი მდგომარეობის ერთი ნიშანი დისკონტის დაწევაც არის, რომელიც გერმანიის საწარმოო წამოწყებებს გაუადვილებს. ყველა ამან უმუშევრობაც, რომელიც დღეს საშიშ დონეზედ არის ასული, უნდა თანდათან შეამციროს.

იუნგის გეგმის მიღების შემდეგ აქტუალური ხდება რუსეთის კითხვაც. ეს საშინაო პოლიტიკის კითხვაც არის. მოსკოვის ოქროთი დაქირავებული აგენტები მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მცხოვრებთ და შემთხვევით გამვლელ-გამომვლელთ. სრულიად უაზრო სისხლის ღვრა, ყოვლად სულელური დებოშები გადაიქცენ სტალინის და მისი დამქაშების ავათმყოფურ მოთხოვნილებათ. მას შემდეგ რაც დასავლეთთან დავა დიდი ხნით მაინც გათავდა, გერმანიის პოლიტიკურ წრეებს მეტი მოთმინება საჭიროდ აღარ მიაჩნიათ. უსასტიკესი კრიტიკა მოსკოვის, მისი საგარეო პოლიტიკის, მისი ბარბაროსულ რეჟიმის და გიჟური სამეურნეო პოლიტიკის—გერმანიის პრესის ყოველდღიურ საქმეთ იქცა. თითქმის ყველა მიმართულება და წრე აყენებს რუსეთის საკითხს. რაპალოს ხელშეკრულების გადაშინჯვის სურვილი ხმა მაღლა გაისმის არა მარტო სოციალდემოკრატიულ «ფორვერტს»-ში, არამედ ერთ დროს მოსკოვისადმი მეტად მეგობრულად განწყობილ დემოკრატიულ და ცენტრის ორგანოებშიც, და ეკონომიურ წრეებშიც (ბანკირ ზოლმსენ-ის რეფერატი ციურიხში, «ბერგვერკ-ცაიტუნგ»-ი «რჰეინიშ-ვერტფელიშე ცაიტუნგ»-ი და სხვ.). განსაკუთრებით სიმპტომატიური იყო დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ასეთ განწყობილებას ის გარემოებაც ხელს უწყობს, რომ ინგლისის მუშათა მთავრობამ როგორც ვიცით მოსკოვის მთავრობასა და კომინტერნს შორის თანასწორობის ნიშანი გააკეთა, რაშიაც არც გერმანიას სურს ჩამორჩეს.

როგორ იმოქმედებს ამ განვითარებაზედ ახალი პოლიტიკური კონსტელაცია? რუსეთისადმი დამოკიდებულების საერთო ხაზი საგრძნობათ ქვევით ეშვება და ამ საერთო განვითარებას ვერავითარი დროებითი მოვლენა ვერ შეაჩერებს. დღეს ნაციონალისტები ნაწილობრივ მთავრობაში არიან და საკითხია საით გადაჰჭრის ეს გარემოება განვითარების ხაზს.

უფრო მოსალოდნელია რუსეთთან ლოიალობა: მათ წრეებში ჯერ კიდევ მეტად ძლიერია მტრობა საფრანგეთისა და პოლონეთის მიმართ და სოციალდემოკრატიისადმი სიძულვილიც გაცილებით უფრო დიდია ვინემ კომუნისტებისადმი. კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება, რომელიც მემარჯვენე რეაქციის საუკეთესო მოკავშირეა სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ, კიდეც სურთ მემარჯვენეებს. ამიტომ ძველი სულიერი ნათესაობა გერმანულ და ბოლშევიკურ რეაქციათა შორის კვლავ სცოცხლობს. შემთხვევითი მოვლენა არ იყო, რომ როდესაც მემარჯვენე ნაციონალისტთა ცნობილმა ლიდერმა პროფესორმა ფრაიტაგ-ლორინგ ჰაფენმა, იუნგის პლანის წინააღმდეგ მოლაპარაკემ, რესპუბლიკანურ პარტიებს შესძახა: «ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთო», მას უპასუხეს: «დიახ! თქვენ ისე ლაპარაკობთ როგორც რუსი!»-ო. ნაციონალისტთა მეორე ექსპერტიც, რუსეთის საკითხების სპეციალისტი პროფესორი ჰეჩ-ი (ჰოეტსშ, დღეს «სახალხო კონსერვატორთა» ჯგუფის წევრი) ერთი იმ იშვიათი პირთაგანია, რომელიც რაპალოს ხელშეკრულებას დღესაც იცავს. ამიტომ ერთი მხრივ უსაფუძვლო არ იყო, თუ «იზვესტია» თითქმის აშკარად მიესალმა ბრიუნინგის მთავრობას და იმედი გამოსთქვა, რომ ის წინანდელი მთავრობის მიერ მოსკოვის მიმართ ჩადენილ შეცდომებს გამოასწორებსო. მაგრამ მეორე მხრივ ნაციონალისტები მხოლოდ ერთი ფეხით არიან მთავრობაში და საერთოდ კიდევ უფრო სამართლიანია «პრავდა»-ს პესიმიზმი, რომ საგრძნობათ ვერაფერი შეიცვლება იმ ანტისაბჭოურ განვითარებაში, რომელიც გერმანიაშიც როგორც ყველგან დღითი დღე ძლიერდება.

ნ. ი.

---

*) მთელი ექსპორტი უდრიდა მილიარდ მარკებში.

	1913 წ.	1925 წ.	1929 წ.
ინგლისის	10,6	15,6	14,9
გერმანიის	10,2	9,4	13,5
საფრანგეთის	5,4	9,2	8,8

◆

მუშების მდგომარეობა ჭიათურაში

(წერილი საქართველოდგან)

ჰარიმანის წასვლის შემდეგ სტამბოლიდან გამოიწვიეს კ. მოდებაძე და მას მიანდვეს შავიქვის მრეწველობის მოწესრიგება. სწორეთ ოთხი წლის წინეთ, როცა ჰარიმანი მოვიდა, ყველა პასუხისმგებელი კომუნისტი ამერიკელებს აქებდა, მათ უდიდეს სარგებლობას ქვეყნისათვის აღნიშნავდა და ამ მოსაზრებით კომუნისტთა საქმიანობას ამკობდა.

იგივე კომუნისტები ახლა ჭიათურის რაიონის ყველა უბედრებას ამერიკელებს აწერენ.

რაც შეეხება ბ. კარპე მოდებაძეს, მისი მოქმედება ყურადღების ღირსია. ჯერ იყო და შეადგინა მეურმეთა არტელი. აქედან არაფერი გამოუვიდა. შემდეგ არტელი გააუქმეს, და ტრესტმა შეიძინა ორმოცი უღელი ხარი. მაგრამ სადღაც გაქრა 2050 მანეთის სიმინდი, რომელიც ხარების გამოსაკვებათ შეიძინეს. ეს გეგმათ დარჩა, ხოლო მეურმეთა შოვნა თანდათან გაძნელდა, ზოგი გზის გაფუჭებისა, უფრო კი საკვების ნაკლებობის გამო.

1929 წელს მუშათა რიცხვი 4050 კაცს უდრიდა. ამათში საგრძნობი ნაწილი ოსები და სომხები არიან, რომელნიც კომუნისტებისათვის საიმედო ელემენტებათ ითვლებიან. რაც შეეხება ქართველებს, დიდი უმრავლესობა კომსომოლისტებია, ხოლო უპარტიო მუშებს იშვიათად შეხვდებით. ბინების ნაკლებობის გამო მუშები 5 ვერსის მანძილზე დადიან.

ხელფასი ასეთია: მებიგეს—2 მან. და 50 კაპ. ყელის მუშა—2 მან. და 50 კაპ. ვაგონის გამგორებელი—1 მან. და 80 კაპ. ქვის გამრჩევს—1 მან. და 50 კაპ. ქარხანაში: დაძგაზე—1 მან. და 60 კაპ. წყალში—1 მ. და 80 კაპ. დრობილკაზე—1 მან. და 50 კაპ. ვაგონების მტვირთველები აკეთებენ დღეში 2მან. და 50 კ. მეურმეები ერთი უღელი ხარით—7მან. და 30 კაპ. საშუალოთ ჭიათურის მუშა იღებს—2 მან და 50 კაპ. ამაში შედის ბინების ქირა, აბანო და ტანისამოსი. მას არ აქვს არავითარი შეღავათი გარდა 15 დღის დასვენებისა წლიურათ ჯამაგირის შენახვით.

დუქანში სადილი ორი თავისაგან უღვინოთ—80 კაპ. პურს ცოტას იძლევიან, ხოლო თუ ის არ არის, სამაგიეროთ მჭადია. კოოპერატივი მაღაროებში მომუშავეებს ვერ აძლევს პურს და სხვა სანოვაგეს დროზე და საკმაოთ. უნდა ადგე დილის სამ საათზე დაიკავო რიგი და როგორმე მიიღო დილის შვიდ საათზე ერთი გირვანქა შავი პური, უმუშევრებს არ ეძლევა არც პური არც აქვს უფლება კოოპერატივიდგან შეიძინოს რაიმე საქონელი. შაქარი და ბრინჯი სრულიად არ იშოვნება. ხორცს იძლევიან კვირაში ორჯერ განსაკუთრებული წიგნით და სულზე 150 გრ. მანუფაქტურა არსად იშოვნება. დღემდის გლეხები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვინემ მუშები. ახლა გლეხებიც გაანადგურეს...

—

ტფილისიდან, მაისის დამდეგის თარიღით გვწერენ: «სიძვირემ და სურსათის ნაკლებობამ უკიდურეს წერტილამდის მიაღწია. გირვანქა ერბო 7 მანეთი ღირს, ისიც არ იშოვება. შაქარი ამ ბოლო დროს სულ აღარ გვეძლევა, ექიმის მოწმობით სულ ცოტას—ერთ-ორ გირვანქას—აძლევენ მთელ ოჯახზე. რძე არ არის: ბავშისათვის რომ ერთი-ორი კრუჟკა მიიღო, ექიმის მოწმობა უნდა გქონდეს და ისიც საათობით უნდა იდგე რიგში. პურის ულუფაც მცირდება. თვისებას ნუღარ იკითხავ. სწორედ რომ არ ვიცით რა გვეშველება!!.»

ნიკო ბრეგვაძე

ჭიათურის საავათმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ძველი მუშა ნიკო ბრეგვაძე. ის 1900 წ. ჩაეწერა სოც. დემ. პარტიაში. ამხ. ნიკო (ზედმეტ სახელს ნიკო ბლაღოჩინს ვეძახდით) მეტად გამოცდილი ორგანიზატორი იყო.

ჯერ კიდევ 1903 წლის გაფიცვაში მიიღო მან აქტიური მონაწილეობა. შემდეგ ხელმძღვანელობდა მუშათა დემონსტრაციებს ჭიათურის რაიონში. 1905-ში იყო წითელი რაზმის უფროსი, რომელმაც ზესტაფონში პლასტუნებს აჰყარა იარაღი. რეაქციის გამარჯვების შემდეგ მეორეთ დაატუსაღეს და ერთი წელიწადი დაჰყო ზესტაფონის ციხეში. განთავისუფლებული ის კვლავ უბრუნდება ბრძოლას. თავდადებული მუშაობით მან დიდი პატივისცემა მოიპოვა მუშათა რიგებში და არა ერთხელ იყო არჩეული ხელმძღვანელ კომიტეტში.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ის იდგა თავის პოსტზე. მოკლებული პრეტენზიებს, და როგორც უბრალო მუშაკი.

ფრთებს ის მუდამ შლიდა მაშინ, როცა ერსა და პარტიას საფრთხე მიადგებოდა. 1921 წელს ამხ. ნიკო მთელი თავისი არსებით ჩაება არალეგალურ ბრძოლაში. ამის გამო ის აჯანყებამდე რამდენიმეჯერ დაატუსაღეს.

აგვისტოს აჯანყებაში ნიკო 25 კაცისაგან შემდგარი რაზმით შევიდა ჭიათურაში და გაიზიარა ხანმოკლე გამარჯვების სიხარული. მისმა რაზმმა დიდი მსხვერპლი გაიღო. თვით კი, დატუსაღებული, დახვრეტას გადარჩა. დააღწია თუ არა თავი ციხეს, ისევ მიაშურა საყვარელ მუშაობას და უკანასკნელ დღეებამდე ხელი არ აუღია ბრძოლაზე.

ძვირფასო ნიკო! შენი სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება საქართველოს მუშათა კლასის გულში, ხოლო გასაკუთრებით იმ კარგ მეგობართა ხსოვნაში რომლებთანაც ასე შეთვისებული იყავი.

ვალიკო ჩუბინიძე.

გრიშა ხოფერია

ვთხოვთ «ბრძოლის ხმის» რედაქციას საშუალება მოგვცეს გამოვთქვათ ჩვენი გულისტკივილი დაუვიწყარ მეგობრის და ამხანაგის, გრიშა ხოფერიას გარდაცვალების გამო *).

ვ. წულაძე, კ. საბახტარიშვილი, კ. გვარჯალაძე, ჭ. ასათიანი, ა. ყორყულიანი, ვ. ჭავჭანიძე, გ. ურატაძე, დ. შარაშიძე.

---

*) ეს სამწუხარო ამბავი მოგვივიდა სტამბოლიდან, როცა ნომერი დასრულებული იყო. ნეკროლოგი დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

რედაქცია.

◆

სიმართლის აღდგენისათვის

(წერილი რედაქციის მიმართ)

«თეთრი გიორგი»-ში ვლ. ემუხვარი და «სამშობლო»-ში «ქული» ძლიერ შეურაცხმყოფელ ტონით კაცის მოკვლას მაბრალებენ:—პირველი «ეტლში შევარდნით», მეორე «ადმინისტრატიული წესით». ეს შემთხვევა იმდენად მტკივნეულია ჩემთვის, რომ ჯერ სულ არ მინდოდა ბრალდებაზე პასუხის გაცემა და თუ მაინც გადავწყვიტე, არა ვინმესთან საპოლემიკოდ, არამედ მხოლოდ სიმართლის აღსადგენად.

ეს უბედური შემთხვევა დამფუძნებელ კრებაში სოც.-ფედ. ფრაქციის ერთმა წარმომადგენელმა (ს. დადიანმა) მოიხსენია თავის სიტყვაში სხვა საქმესთან დაკავშირებით. აქ მე კაცის მოკვლა ქეიფის დროს მბრალდებოდა. ამ სიტყვაზე პასუხი მაშინ დაუვიწყარმა ბენია ჩხიკვიშვილმა გასცა და საქმის ნამდვილი სურათი დახატა (1917-18 წლებში ბენია სოხუმში იყო). ამის შემდეგ, ტფილისში ყოფნის დროს, სოც.-ფედ. პარტიის ერთმა პასუხისმგებელმა პირმა და «სახ. გაზ.» რედაქციის წევრმა (ა. ჯაჯანაშვილმა) ბენიას თანდასწრებით განმიცხადა:—ეს შემთხვევა იმდენად გამორკვეულია ყველასათვის, რომ მასზე აღარ ღირს კიდევ ლაპარაკიო...

საქმის ნამდვილი ვითარება შემდეგია. 1917 წლის მიწურულში მთელი სოხუმის ოლქი, განსაკუთრებით კი თვით ქალაქი, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა:—ტფილისის ხელისუფლებას თითქმის სრულიად მოწყვეტილს, მას აღარ დაურჩა წესრიგის პასუხისგებით და შეგნებული დამცველი ძალა. მილიცია მცირერიცხოვანი იყო და მასთან არც მაინცადამაინც საიმედო. ოლქი და ქალაქი აივსო ფრონტიდან იარაღით დაბრუნებულ ჯარისკაცებითა და ყაჩაღებით. ცოტა რომ შეღამდებოდა, კაცი შიშით გარედ ველარ გამოდიოდა. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და გაბედულათ თავი წამოჰყვეს. აი, ამ დროს ბენია ჩხიკვიშვილის და ჩემი ინიციატივით და უახლოეს მონაწილეობით შესდგა წესრიგის დამცველი რაზმი, რომელშიდაც ყველა პარტიების წარმომადგენლები შედიოდენ: «ს.-დ.», «ს.-ფ.», «ს.-რ», იყვნენ უპარტიონიც. ხელმძღვანელად მან ერთხმად მე ამირჩია. ეს დამცველი რაზმი, მტკიცე განწმენდისა და გაცრის შემდეგ შედუღებული, გამოცდილი და საიმედო გამოდგა; მან არა ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება და თავდადება ძვირფას სამშობლოს სამსახურში. რაზმმა ენერგიული მუშაობით მალე შესძლო მშვიდობიანობის აღდგენა.—მაგრამ ბოლშევიკებმა ისევ გააძლიერეს მუშაობა. შიგნით რომ ვერას გახდენ, ეხლა გარედან შემოგვიტიეს. ზღვისპირის ქალაქებისა და დაბების «ბოსიაკები» და განაძარცვ საქონლით მოვაჭრე, ზღვაზე კრეისერებით მოთარეშე, მუდამ მთვრალი მატროსები ამისათვის საუკეთესო მასალას იძლეოდა. მდგომარეობა ისევ შეირყა. რაზმის მუშაობა გაორკეცდა:—დღე და ღამე მისთვის მოსვენება არ იყო.

აქ მე შეძლება არა მაქვს დაწვრილებით აღვნუსხო რაზმის თავდადებული მუშაობა და ბრძოლა. მკითხველს უნდა ახსოვდეს თუ რა გადახდა იმ ხანებში სოხუმის ოლქს და განსაკუთრებით ქალაქ სოხუმს: 1918 წლის თებერვალში ბოლშევიკურ ჯავშნოსანის «დაკია»-ს მხეცური თავდასხმა ქალაქზე, შემდეგ თვეში მისი ხელმეორედ აღება და ბოლშევიკების 40 დღის განმავლობაში თარეში... ამ განსაცდელის დღეებში რაზმი მუდამ თავის მოვალეობის სიმაღლეზე იდგა, ხოლო «წესიერების უწესო დამცველი» მ. წულუკიძეც მუდამ წინა რიგებში იმყოფებოდა თავის მეგობრებთან ერთად. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენი მოვალეობა მომხდურების მიერ ქალაქის დატოვების შემდეგ, მათ მიერ დათესილ ანარქიის აღმოფხვრა და აშვებულ ბნელ ელემენტების ალაგმვა.

წესიერების დაცვის ამ პროცესში შემემთხვა ის უბედურება... ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით სოხუმის განაპირა ქუჩები იპყრობდა. სადაც ბლომად მოიპოვებოდა ცუდი ყოფაქცევის პატარა სასტუმროები და რესტორანები. ამ სახლებში ქეიფი, «არღნის» დაკვრა და ზურნა, განსაკუთრებით ღამე, აკრძალული იყო: ყოველ დღე ახალ უბედურებას მოველოდით და ამიტომ ძალიან ფრთხილად ვიყავი. ერთ ღამეს ქალაქის ასეთ რაიონის ჩამორების დროს, ყველაზე უფრო შემჩნეულ სახლიდან დიდი ხმაური და «არღანის» ხმა ვისმინეთ. რამოდენიმე რაზმელით შევედი და მოვითხოვე სახლის დაკეტვა დაუყონებლივ. გავიდა რამდენიმე ხანი. იმავე გზით უკან დავბრუნდით დაღლილ-დაქანცულები. უკვე გაფრთხილებულ სახლიდან ისევე ხმაური და არღანის ხმა მოგვესმა. აღელვებული შევბრუნდი ამ საშინელ სახლში. ხელში პატარა ბრაუნინგი მეჭირა, რომელიც დაკეტილი მეგულვებოდა (ეს შემდეგ გამართლდა). რესტორანში რამდენიმე ახალი პირი შევნიშნე, რომელნიც კედელს ამოეფარენ. «ეხლავე დაცალეთ რესტორანი»-ს თქმაც ვერ მოვასწარი, რომ გავარდა რევოლვერი და ჩემთან ახლო დაზგასთან მდგომი მეარღნე ჩაიკეცა... იმ წამსვე ვიგრძენი, რაც მომივიდა,—მივარდი დაჭრილთან ავაყენეთ და საავათმყოფოში გავგზავნეთ... ჩემს გვერდით ახალგაზრდა ვ. ხ. და სხვა რაზმელები იდგნენ და მამშვიდებდენ. დაჭრილი მეორე დღეს გარდაიცვალა. თუ რა ტანჯვა გამოიწვია ჩემში ამ შემთხვევამ, ეს იციან იმათ, ვინც იმ წუთში და შემდეგ ჩემთან იყვნენ. დაუყონებლივ ბ. ჩხიკვიშვილთან წავედი და ყველაფერი უამბე რაც მოხდა... ოქმიც შედგა. ეს ჩემი უბედურება სასამართლოს კარებამდე არ მისულა, რადგან ის ყველასათვის გამოირკვა როგორც უცაბედი უბედური შემთხვევა. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, აფხაზეთის საბჭოს ბოლშევიზან-დამოუკიდებლები რუსიფიკატორ დემიანოვის მეთაურობით ასეთ შემთხვევას გაუშვებდენ ხელიდან, რომ შეეტანათ საბჭოში შეკითხვა მათ მიერ მართლა ყველაზე უფრო ათვალისწინებულ დეპუტატის შესახებ?! მე მგონია, არა! მაგრამ მოქმედობს განა არგუმენტაცია იქ, სადაც უპირველეს როლს ადამიანის გასვრის, გალანძღვის სურვილი თამაშობს?!..

—ჩემი მოღვაწეობა აბხაზეთში თურმე «დიდ აღშფოთებას» იწვევდა,—ე. ი. ჩემს წინააღმდეგ მცხოვრებლები და საზოგადოება მტრულად იყო განწყობილი. რომ ეს მართალი არ არის მოვიყვან ორ მაგალითს.

1. როდესაც ბოლშევიკებმა სოხუმი და მასთან თითქმის მთელი აფხაზეთი მეორედ აიღეს, მე სოხუმში დავრჩი. ბოლშევიკებმა ეს დაყნოსეს, მაგრამ ეგონათ, რომ მე სოხუმთან ახლო მდებარე ბერძნების სოფელში ვიმალებოდი. სოფელს ალყა შემოარტყეს და მოსთხოვეს ჩემი გაცემა. ნაბრძანები იყო, სადაც მნახავდენ, უნდა მოვეკალი. მიუხედავათ ამისა ბინის შოვნა სოხუმში არ გამჭირვებია (ადვილი წარმოსადგენია თუ რა მოელოდა მის პატრონს). ერთი თვის გამავლობაში ბინა ხუთჯერ გამოვიცვალე. ბოლოს მეგობრებმა მირჩიეს ქალაქი დამეტოვებინა... ესეც ჩემი მეგობრების და ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით შევსძელი. ვ. ჯუღელის რაზმმა აიღო სოხუმი, მეც ქალაქში დავბრუნდი. როგორი პატივი დამდო მე სუხუმის საზოგადოებამ, განურჩევლად ეროვნებისა. ქალაქში დაბრუნებულს.—ამაზედაც არას ვიტყვი... იმას კი ვაცხადებ, რომ «აღმაშფოთებელ» პიროვნებას ასე არ ეპყრობიან...

2. აფხაზეთში მე მარტო პოლიტიკურ მუშაობას არ ვაწარმოებდი... ჩემს უახლოეს მონაწილეობით სოხუმში დაარსდა საზოგადოება, რომლის მიზანი წმინდა კულტურულ-ეკონომიური იყო. გამგეობაში («ქართული ეროვნული საბჭო») პარიტეტულად ყველა პარტიების წარმომადგენლები შედიოდენ. კულტურული მუშაობის მოსაწესრიგებლად საბჭომ გამოჰყო განსაკუთრებული კომისია 5 კაცისაგან, რომელმაც თავის მხრივ ამ საქმის ხელმძღვანელობა ს. დ. მ. წულუკიძეს და ნ. დ. პარტიის წევრს ვანო რამიშვილს დაავალა... არც ამისთანა საქმეს ჩააბარებენ ხოლმე ადამიანს, რომელიც საყოველთაო აღშფოთებას იწვევს.—ეს ყველაფერი ხომ იმ უბედურ შემთხვევის შემდეგ მოხდა!

იყო ხალხი, რომელშიდაც ჩემი მუშაობა მართლაც აღშფოთებას იწვევდა: რუსის ნაციონალისტები და ბოლშევიკები.

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენს ვლაპარაკობ ამ საგანზე. მაგრამ, აბა, რა ვქნა! როგორ დავიცვა თავი უმართლო ლანძღვა-გინებისაგან? ბოლოს ერთს ვაცხადებ: თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ზემოდ ნათქვამში, აქ უცხოეთში არიან ამის კარგი მოწმეები: სოხუმის ემიგრაცია ევროპაში და მათ შორის ორი უახლოესი—ხსენებულ რაზმის წევრები, რომელნიც თავიდან იცნობენ ჩემს მუშაობას სოხუმში: კვიროსი ელენტი და მარტიანე მგელაძე. მზად ვარ პასუხი ვაგო სოხუმში მუშაობაზე ყოველ მიუდგომელ ტრიბუნალის წინაშე.

ეს არის ჩემი სიმართლე,—ჩემი აღსარება, თუ გნებავთ.

მიხ. წულუკიძე.

ბერლინი. 12. 3. 30.

◆ ◆ ◆

დარბაზობა

საქართველოს დამოუკიდებლობის
მე-XII
წლისთავის აღსანიშნავად
26 მაისი
საღამოს 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
8, rue Jean Goujon 8.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZÉ
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.